


140/
984/2



140/2
08

ՀՈՒՆՎՅՈՒՆ

140/2
ISSN 0182 — 5978

1
1984

წელი მოვიდა ახალი

მზიან ხევიანი

მომილოცნია!
 გამოდიდი!
 წელი მოვიდა ახალი!
 ძირს ფანტელ-ფანტელ ჩამოდის
 სამშობლოს ზეცა მაღალი.
 გადაპენტილა ქალაქი,
 სოფელი გადაპენტილა,
 სავესე ხურჯინით, კალათით,
 ფეხბედნიერად, კეთილად
 თოვლის პაპები დადიან,
 ყველას უქებენ მარჯვენას,
 ვინც ხალხს,
 სამშობლოს მაღლიანს
 ერთგული გარჯა აჩვენა.
 ვინც ძმობის ფუძე აშენა,
 ჭერი ცათამდე აზიდა,
 ვინც იდგა მეზურის საშველად,
 გადასარჩენად ვაზისა.
 ვინც ხე დარგო და ახარა,
 ვინც იყო მწყემსი კეთილი,
 მიწა აქცია ბაღნარად,
 არ ჰქონდა გამოკეტილი
 ძმა-მეგობრისთვის არასდროს
 სახლის და გულის კარები,
 მას, ვინც მშვიდობას დარაჯობს;
 ნათელი გულის ბრძანებით.
 ვინც წიგნებს ჩაჰკირკიტებდა,
 ვინც შრომის ოფლი დაღვარა,
 დღე-მამას,
 პაპას, დიდედას,
 ხუთიანები ახარა, —
 უმდერენ თოვლის პაპები,
 თეთრად რომ გადაპენტილან.
 საჩუქრები და ზღაპრები
 კარდაკარ დააქვთ კეთილად,
 ზღაპრის გმირებიც:
 ყურცქვიტა,
 დათვი, მგელი თუ მელია
 ყველა ხიდან და ბუჩქიდან
 ალერსით შემოგვეცქერიან.
 შუქურვარსკვლავის კუნწულას
 მოურთავს ნაძვი წერწეტა,
 ტოტზე შესტება ბუთქუნა
 ციყვი და მოგაჩერდება.
 რა სისხარულში ღამდება,
 რა სისხარულში თენდება,
 სიტკბოს გულუხვად არიგებს
 ბერი პაპა თუ ბერდება!



მზიანი დღე იყო. მთელი მოედანი, დაწყებული განიერი, ბალახმოვლებული კიტაიგოროდის კედლიდან დიდ თეატრამდე და მიურისა და მერილიზის მაღაზიამდე, ხალხით იყო გაჭედილი. შენობებზე წითელი ქსოვილები გამოეფინათ, აქა-იქ პიჯაკის ღილაკებში ჩატანებული წითელი ბაფთები გამოკრთოდა. სიო დინჯად არხვედა ალისფერ დროშებს.

მოხალისეებს ფრონტზე აცილებდნენ: დასავლეთ ბელორუსიასა და უკრაინაში შემოჭრილ თეთროლონელებს კავშირი შეეკრათ პეტლიურასთან და ახლა შეტევაზე გადმოსულები კიევს უახლოვდებოდნენ.

დიდი თეატრის სკვერის გარშემო წითელი არმიის ნაწილები იდგნენ თავიანთი ალმებით და ორკესტრით.

მცირე თეატრის მახლობლად კი მოხალისეებს მოეყარათ თავი. ზოგს

პირზე ეკერა მისი სახელი. მოედნის სხვადასხვა ადგილებზე გაჩერებულები თითის წვერებზე დგებოდნენ, ცდილობდნენ დაენახათ, მოვიდა თუ არა ლენინი. თვალი ყველას ორ თეატრს შორის ჩადგმული, ფიცრისაგან სახელდახელოდ გამართული მაღალი ტრიბუნისათვის მიეპყრო. ტრიბუნას ახლად გაჩორკნილი ხის დაქანებული კიბეები ჰქონდა.

მაგრამ ლენინი ჯერ არ ჩანდა...

ტრიბუნასთან ხის მძიმე შტატივზე ძველისძველი, დანჯღრეული კინოპარატი იდგა. ეს იყო უბრალო კოლოფი ობიექტივის ტუბუსით და სახელურით. კინოკამერასთან ბოლთას სცემდა გრძელ და ვიწრო შავ პალტოში ჩაცმული მაღალი ტანის კაცი, — ცნობილი კინოოპერატორი ფედოტოვი. ფედოტოვი დადიოდა, ფიქრობდა, ადგენდა, საიდან აჯობებდა ლენინის გადაღება. ამაზე ფიქ-

— ამხანაგებო!

ფედოტოვი აპარატთან ჩაცხვქდა, თვითონ ვერც კი შეამჩნია, როგორ დაიწყო სახელურის ტრიალი, მაგრამ მოეჩვენა, რომ სწორედ დროულად დაიწყო.

— თქვენ იცით, — განაგრძობდა ლენინი, — რომ ანტანტის მიერ შეგულიანებულმა პოლონელმა მემამულეებმა და კაპიტალისტებმა ახალი ომი მოგვანგვიეს თავს. გასსოვდეთ, ამხანაგებო, რომ პოლონელ გლეხობასთან და მუშებთან ჩვენ არავითარი უთანხმოება არა გვაქვს. ჩვენ ყოველთვის ვცნობდით და ვცნობთ პოლონეთის დამოუკიდებლობას და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას.

ლენინი ლაპარაკობდა, ფრონტზე მებრძოლებმა უნდა დაამტკიცონ, რომ ისინი, მუშათა და გლეხთა რესპუბლიკის ჯარისკაცები პოლონელი ხალხის მჩაგვრელები კი არა, გამათავისუფლებლები არიანო.

ფედოტოვი იღებდა ლენინის უმთავრეს და დამახასიათებელ ჟესტებს. შიგადაშიგ წყვეტდა გადაღებას, ხალხით გაჭედილ მოედანს გადახედავდა და მორიგი გადაღებისათვის აუცილებელ საერთო პლანს არჩევდა.

მიტინგი ზედა წერტილებიდანაც უნდა გადაეღო. კიბის რამდენიმე საფეხური აირბინა და ახლა იქიდან გადმოხედა მოედანს, ყველას მზერა ლენინისკენ იყო მიპყრობილი.

როდესაც ვლადიმერ ილიას ძემ მარჯვენა ხელში ჩაბლუჯული კეპი აიქნია და ტრიბუნიდან ხალხისაკენ გადაიხარა, ფედოტოვმა კვლავ დაატრიალა სახელური და მხოლოდ ახლა შეამჩნია, რა უმოწყალოდ ტკაცუნობდა მისი ძველი აპარატი. შე-

მოუხდელი პატი

ს. ანტონოვი

მხატვარი
ზურაბ ფორჩხიძე

ფარაჯებს შიგნით ძველი გიმნასტურები ეცვა, ზოგსაც გაცვეთილი ხალათები, პიჯაკები და ტყავის ქურთუკები. მოხალისეებს წითელარმიელებთან ერთად უნდა შეეჩერებინათ მტერი.

ათას ცხრაას ოცი წელი იდგა, გახურებული ომის წელი. ვისაც კი შეეძლო, ყველა რუსეთს ჯიჯგნიდა. ხალხს არც იქ უღზინდა, სადაც ფრონტის ხაზი არ გადიოდა. ტიფი მუსრს ავლებდა ათასობით ადამიანს. ქვეყანაში შიმშილი და ავადმყოფობა მძვინვარებდა.

მოხალისეები ფრონტისათვის ჰაიპარად ემზადებოდნენ: გზადაგზა ისხამდნენ იარაღს, გზადაგზავე ირგებდნენ ტანსაცმელს. ხშირად თავიანთი ზუბუნებით, პიჯაკებითა და მსოფლიო ომის დროინდელი გაცრეცილი ფარაჯებით იბრძოდნენ.

ფრონტზე გამგზავრებამდე მიტინგი უნდა შემდგარიყო. ვლადიმერ ილიას ძე ლენინს ელოდნენ. ყველას

რი კი მართლაც რომ საჭირო იყო. კასეტში ხომ მოსსაბჭოს კინოგანყოფილების საგანგებო შემთხვევისათვის განკუთვნილი ხელშეუვალი ფონდიდან მიღებული ერთადერთი უკანასკნელი ფირი იდო, და აი ეს საგანგებო შემთხვევაც დამდგარიყო. გარდა ამისა, ოპერატორს ისიც აღონებდა, რომ არა ჰქონდა გრძელფოკუსიანი ობიექტივი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ უნდა გადაეღო რაც შეიძლებოდა ახლოდან, სულ რაღაც მეტრნახევარი-ორი მეტრის მანძილიდან.

ფედოტოვმა წარმოიდგინა ტრიბუნაზე ასული ლენინი, ის-ის იყო მანძილიც გადაზომა და აპარატიც დადგა, რომ ლენინი გამოჩნდა. იგი სწრაფად ავიდა ტრიბუნაზე. ხალხი ახმაურდა, გაისმა შეძახილები. ოპერატორი აპარატს მიუახლოვდა და ფოკუსი დააყენა, კინოკამერაში ბელადის ნათელი და მკაფიო გამოსახულება გამოჩნდა. ვლადიმერ ილიას ძემ კეპი მოიხადა, მოხალისეებისაკენ დაიხარა და ხმამაღლა წარმოთქვა:

საპარტიკო ალკ. ს. ანტონოვი და პ. ი. ლენინის სახელობის კინოფაქტობა მკავანიაში

რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური სააპარტიკო მუშაობა



კინოფაქტი

1 იანვარი 1984

საპ. კ. ანტონოვი

17.736

კ. მარტის ს. ს. ს.



ნელის სწორედ ამ თვისებებში — შე-
უდრეკელობის, გამბედაობისა და შე-
ურიგებლობის ასახვა სურდა ფე-
დოტოვს. სწორედ ეს თვისებები შე-
ქმნიდნენ ბელადის რამდენადმე
სრულყოფილ პორტრეტს.

და ფედოტოვი განაგრძობდა თა-
ვის საქმეს.

მაგრამ მოხდა ყველაზე საშინელი
რამ, სწორედ ის, რისიც ეშინოდა
ოპერატორს: ფირი გათავდა. მან კი-
დევ რამდენჯერმე გადაატრიალა სა-
ხელური.

„არა, გათავდა, ტრიალითაც ადვი-
ლად ტრიალებს და ცარიელი მექა-
ნიზმიც სხვანაირად ხმაურობს, ლი-
თონის ხმას გამოსცემს. მორჩა!“

ფედოტოვმა ამოიხრა და ჩაფიქ-
რდა. ბოლოს თავი იმით დაიმშვიდა,
რომ, თავისი აზრით, პირნათლად მო-
ინახდა ვალი: გადაიღო ყველაზე საი-
ნტერესო მომენტები, სწორედ ის ად-
გილები, რისი გადაღებაც გულით ეწ-
ადა. ხალხი ნახავს ლენინს — მკა-
ცრს, ლენინს — მედვარს, მტკიცეს,
ლენინს — მტრების მიმართ დაუნ-
დობელს... სწორედ ისეთს, როგორ-
საც ხედავდნენ მას ახლა ის მოხა-
ლისებები.

ამასობაში ვლადიმერ ილიას ძემ
დაასრულა თავისი სიტყვა და ფედო-
ტოვმა ბედნიერადაც კი იგრძნო თა-
ვი: გამოდის, რომ სულ ცოტაღა და-
რჩა გადასაღები, სრულიად უმნი-
შვნელო!

ვლადიმერ ილიას ძე ტაშის გრი-
აღსა და „ინტერნაციონალის“ გუ-
გუნში ჩამოვიდა ტრიბუნიდან და
ოპერატორისაკენ გამოემართა.

„აი, ახლა კი მომხვედება“. — გაი-
ფიქრა ფედოტოვმა და სუნთქვა შეი-
კრა. ლენინმა ახლოს ჩაუარა მას,
კინოაპარატს შეჩნდა და ოპერა-
ტორს გაუღიმა. ფედოტოვმა მხნეო-
ბა მოიკრიბა და მიმართა:

— უკაცრავად... ვლადიმერ ილიას
ძევ... ხელს ვიშლიდით ლაპარა-
კის დროს... ძალზე ძველი კამერა...

ლენინი შედგა, თავი ოდნავ გვერ-
დზე გადასწია.

— არა უშავს, არა უშავს... ნუ ლე-
ლავთ, — თქვა მან, — ყველამ თავი-
სი საქმე უნდა აკეთოს...

მან გამამხნევებელი მზერა ეს-

წახდა, იფიქრა, ან ახლა მომიბრუნ-
დება უკმაყოფილო ლენინი, ან ახ-
ლაო...

ერთი კი გადაწყვიტა, ახლავე შევ-
წყვეტ გადაღებასო, მაგრამ მაშინ-
ვე გაახსენდა, რომ ეს საქმე პირა-
დად მას დააკისრეს, რომ მისი მო-
ვალეობა იყო, აქ მდგარიყო და გა-
დაელო. „რა ჩემი ბრალია. აპარატს
რომ ტკაცანი გააქვს, სხვა არ მოგ-
ვეძიებება და...“

მერე გადაწყვიტა ტრიბუნას მო-
შორებოდა: ასე აპარატის ხმაური
უფრო ნაკლებად შეუშლიდა ხელს
ორატორს, მაგრამ მაშინ ლენინის
მსხვილი პლანით გადაღებას ველარ
შესძლებდა და დაეკარგებოდა ბე-
ლადის სახის გამომეტყველება, რო-
მელიც ასე ხშირად იცვლებოდა.

„არა, არც გადაღების შეწყვეტა
შეიძლება და არც გადანაცვლება.
აქ უნდა ვიდგე და აქედან უნდა გა-
დავიღო!“

და ფედოტოვიც იღებდა. ტუჩები
მოკუმბა, ცალი ხელი აპარატს დაა-
დო, მეორეთი კი სახელურის ტრი-
ალი განაგრძო.

„ეშმაკსაც წაუღია ეს წისქვილი!“
— ილანძღებოდა ოპერატორი გუ-
ნებაში. ეშინოდა, თვალებით არ შე-

ხვედროდა ლენინს. მაგრამ მაინც
ვერ ასცდა მის მზერას. ვლადიმერ
ილიას ძემ ფედოტოვისკენ გამოიხე-
და, განგებ მოიხედა თუ შემთხვევით,
ამას უკვე მნიშვნელობა არა ჰქონ-
და.

„ხელს ვუშლი“...

მაგრამ ტრიბუნიდან ჩამოსვლა და
გადაღების შეწყვეტა ფედოტოვს არ-
აფრით არ შეეძლო და ისიც იღებ-
და. აპარატის სახელურს ჩაფრენი-
ლი გაშმაგებით ატრიალებდა მას.
ლენინმა ერთხელ კიდევად მოხედა
ოპერატორს, მისი აზრით, კვლავინ-
დებურად უკმაყოფილოდ.

ფედოტოვი დროდადრო ჩერდე-
ბოდა, მერე ისევ განაგრძობდა გა-
დაღებას. — რა ვქნა აბა!? სხვაგვა-
რად არ შეიძლება, ხომ უნდა გადა-
ვიღო?! — ინუგეშა თავი.

ის ხედავდა, ფრონტზე წასვლის
წინ აქ მოსული ხალხი ღებულობდა
ლენინისაგან იმას, რაც მას
სჭირდებოდა. ვლადიმერ ილიას ძე
იყო გამირობის, სიმამაცის და გამ-
ბედაობის უშრეტეი წყარო.

მოვსპოთ საბჭოთა რესპუბლიკის
მტრები! გავანადგუროთ ისინი! აღ-
ვგავოთ პირისაგან მიწისა!

საბჭოთა რესპუბლიკის ხელმძღვა-

როლა ფედოტოვს და მოულოდნელად, ეშმაკურად, სიტყვების ჩამომარცვლით, გაიმეორა:

— ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს!..

რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ ლენინი კვლავ შედგა, ვიღაც შეამჩნია. ფედოტოვი დაინტერესდა, ვინ არისო და გვერდზე გადაგა. სამი წლის გოგონა დაინახა. ბავშვს პალტო გადახსნილი ჰქონდა, ძველი გახუნებული კაბა მოუჩანდა. ოქროსფერი თმები საგულდაგულოდ ჰქონდა დავარცხნილი. ჭუჭყიანი მუშტი პირთან მიეტანა და ყველას ერთნაირი ყურადღებით აკვირდებოდა. პატარამ თვალი გააყოლა მის წინ ჩავლილ სამხედროს და პიჯაკიან ბიჭს, მერე, როცა ლენინმა ჩაუარა, ახლა იმას მიაჩერდა.

ვლადიმერ ილიას ძე გოგონასაკენ დაიხარა და ოქროსფერ, აბრეშუმივით ფაფუკ თმაზე ხელი გადაუსვა.

როგორც კი ფედოტოვმა დაინახა, როგორ მიუახლოვდა ლენინი გოგონას, აპარატის დატრიალება მოუნდა, მაგრამ წამსვე მოაგონდა, რომ ფირი აღარ ჰქონდა.

გოგონა პირიდან ხელს არ იცილებდა და კვლავინდებურად აქეთიქით იყურებოდა. როცა ლენინი მოეფერა, ახლა მას შეხედა და მიმდობი ღიმილით გაუღიმა, ვლადიმერ ილიას ძემაც გაუღიმა. ბავშვს გაეცინა, ხელი ჩამოიღო და ლენინის პიჯაკის ღილს წაებოტინა. მან კვლავ გადაუსვა თავზე ხელი გოგონას და მომღიმარი სახით სწრაფად განაგრძო გზა.

— ეჰ, — აღმოხდა ფედოტოვს ბრაზნარევი დანანებით, — მე კი მეგონა, ვალი პირნათლად მოვიხადე-მეთქი. ჰმ! — გული მოსდიოდა თავის თავზე.

„მკაცრი, მკაცრი, მტკიცე“, — დაცინვით გაიმეორა თავისივე სიტყვები. აკი სულ ამ ცოტა ხნის წინ ეკონა, რომ ამ სიტყვებით სავსებით ამოწურა ლენინის სახე. აი, თურმე სინამდვილეში როგორი ყოფილა იგი. აბა სად დადებულ იქნა ეს? სად?

თარგმანი მარინა კვამბაძე



60
წელი
ლენინის
სახელმით

პრონაბავი ქარხანაში მოვიღწან. მათი მასინაჲლი მილსაგლინაჲი საამჲროს კომპაჲჲირის კომიტატის მღიჲანი ღათო სუციჲვილია.

ასე ვაგვიხვამთ პრონაკული ფიცის ერთგულუბასი

დი, თვალს რომ ვერ გაუსწორებ... გრუსუნი, ღრჭიალი, ჭახანი, გუგუნი, ზრიალი, სირენის კივილი, ადა-

ნ. პანიძე

გზა

მასალურგობიული ქანახისასამს

მეტალურგია და-რომანტიკა?

შესაძლოა შენ, რომელიც ახლა ამ სტრიქონებს კითხულობ, არასოდეს ყოფილხარ მეტალურგიულ ქარხანაში, არ დაგივლია მისი სამუშაოები და პირადად ერთ მეტალურგსაც კი არ იცნობ, მაგრამ შეუძლებელია მასწავლებელს არ აეხსნას, ტელევიზორს არ ეჩვენებინოს ან გაზეთს არ ეამბნოს იმ მძიმე და ვაჟაკურ პროფესიაზე, რომელსაც მეტალურგობა ჰქვია.

მართლაც: ღუმელი, რომელშიაც გამდნარი ლითონი დუღს, გუგუნებს და ჩინჩხლებს ისერის... ტემპერატურა — ცელსიუსით 1500 გრადუსზე მეტი... კოლფსალური წნევა... თეთრად მოვარვარე ლითონის ნაკა-

მიანთა შეისასოლები... ასეთ ვითარებაში ასი თვალი და ყური უნდგესხას, ფიზიკურ და გონებრივ ძალთა სრული მობილიზება უნდა შეგეძლოს, თორემ ერთი შეცდომა და — წყალში ჩაცვივა საათობით შრომის ნაყოფი.

მართლა ვაჟაკი უნდა იყო... მაგრამ, ამასთან ერთად — რომანტიკოსიც.

თითქოს შეუთავსებელია, ხომ, მეტალურგის მძიმე შრომა და რომანტიკა? მაგრამ აბა ერთი რუსთაველ პიონერს, მეექვსეკლასელ ბელა სონიშვილს მოუსმინეთ:

„მე ვერ ვიქნები მეტალურგი, რადგან ქალი ვარ, მაგრამ მეტალურგობა რომ შემეძლოს, ისეთ რამეს შევქმნიდი, რაც ჯერ არავის შეუქ-



**რაზმეულის
დროვას
ზაზა
ივანიაშვილი
მოაზრიალავს
ოპერაცია
„მეტალურგი“
დაიწყო**

ლით მეტალურგთა ცვლის მომზადების საქმეს, — დაფიქრებით ასკვნის გურამი.

ლელა აფციაურმა, კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგემ, დაადასტურა:

— დიას, ეს ასეა. უფროსკლასელებს (მერვე, მეცხრე,

მეთექვსმეტე) ძირითადად უკვე დაგეგმილი აქვთ თავიანთი მომავალი, ჩვენ კი სწორედ ამ ასაკში ვიწყებთ მათ პროფესიულ ორიენტაციას. ეტყობა, მოზარდებს უფრო ადრე უნდა გავაცნოთ ხოლმე ამა თუ იმ პროფესიის ავკარგი, რათა მეტი დრო ჰქონდეთ მოფიქრებისა და სწორი არჩევანისათვის... აი, ამ თვალსაზრისმა გვაფიქრებინა ოპერაცია „მეტალურგის“ წამოწყება...

— მართლაც დროული და საჭირო ღონისძიებაა, — კმაყოფილებით იღიმება გურამ ტყეშელაშვილი.

საერთო საფიქრალი

სექტემბერი იწურებოდა. თინა იოსებიძის სახელობის პიონერული რაზმეულის საბჭოს წევრები და აქტივისტები პიონერთა ოთახში შეკრებილიყვნენ.

სხდომის დღის წესრიგში ერთადერთი საკითხი იდგა: ოპერაცია „მეტალურგი“...

ახლა ამ ოპერაციის მეთაურებს რომ ჰკითხო, ვერც კი გაისხენებენ, პირველად ვის დაებადა ეს იდეა.

ისე, ქარხნის საფიქრალზე ხშირად მსჯელობდნენ: ბევრი პიონერი მეტალურგის ან მისი მონათესავე სპეციალისტის ოჯახიდანაა, ამას გარდა, მე-15 საშუალო სკოლის თინა იოსებიძის სახელობის პიონერულ რაზმეულს ხომ ქარხნის მთავარი საამქროს — მილსაგლინავი საამქროს კომკავშირული ორგანიზაცია შეფობს; ამ საამქროს 325 კომკავშირელი და მათი თავაკცი დათო ხუციშვილი ყურადღებას არ აკლებენ ნორჩებს.

— გუშინ ჩემმა მეზობელმა, სტუდენტმა-ისტორიკოსმა მიაშხო, — ჰყვება ერთი, — თურმე ბიბლიაში წერია: „თუბალი ესე იყო კვერით სუროი, მჭედელი რვალისა და რკინისა.“ თუბალები კი ერთ-ერთი ქართული ტომი იყო.

— ხალიბებიც, — მხარს უჭერს მეორე. — ხალიბურ ფოლადს მთელ აზიაში იცნობდნენ.

— ევროპაშიც, — უფრო შორს მიდის მესამე.

— სწორია, — კვერს უკრავს მეოთხე. — თურმე კალის გარდა ყოველგვარი მადნისა და ლითონის სახელი ქართულია. ესე იგი, ჩვენი წინაპრები უხსოვარი დროიდან მეტალურგები ყოფილან.

— ხედავთ? — ხმაში საყვედური გაურია უფროსმა პიონერნელმძღვანელმა ქეთინო ახალკაცმა. — ჩვენ კი როგორ ვიქცევით, შივევებით ტრადიციას? აბა, ერთი მითხარით, რომელი თქვენგანი ოცნებობს მეტალურგობაზე?

— მე, — გაისმა ერთის ხმა.

— მეც! — შეაწია მეორემ.

— მაშინ საქმეს შევუდგეთ! — გახალისდა ქეთინო ხელმძღვანელი. — დღის წესრიგშია ერთი საკითხი...

„თბილისი, ლენინის ქ. № 14...“

გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციას.

რუსთავის პიონერული ორგანიზაციის საქალაქო საბჭო გაცნობებთ, რომ 1983 წლის 1 ოქტომბერს საკავშირო პიონერულ ხაზზე სტარტი მიეცა საქალაქო პიონერულ ოპერაციას „მეტალურგი“.


მნია. მე გავაკეთებდი ლითონის მსუბუქ ფრთებს, რომელიც იქ გამაფრენდა, სადაც ვეტყოდი... რაღაც ისეთს გავაკეთებდი, გასაჭირში ყველას ყველაფერში რომ ეხმარებოდა.

მთავარი პრობლემა

— ამოდენა საწარმოში, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა რომ არის, პრობლემებს რა გამოლევს, — ხელები გაშალა ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა გურამ ტყეშელაშვილმა. — მაგრამ ამ პრობლემათა შორის უმთავრესი მუშახელის დენადობაა...

ქარხნის კომკავშირული ორგანიზაცია 3600 წევრს ითვლის. ეს უზარმაზარი ძალაა, თუ იგი ერთ მუშტად შეიკრა. მაგრამ, სამწუხაროდ, ქარხანაში მოსულ ყველა ახალგაზრდას როდი ჰყოფნის ნებისყოფა საიმიწოდ, რომ შეუჩვეველი სიძნელები დასძლიოს და ცეცხლთან და ლითონთან ჭიდილში გამობრძმედილ ვაჟკაცებს მხარში ამოუდგეს.

— როგორც ჩანს, რაღაც დავაკე-



ოპერაციის ინიციატივა ეკუთვნით მე-15 საშუალო სკოლის პიონერებს, რომელთა შეფები მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი სამქროს კომკავშირელები არიან.

ასი ათასზე მეტმა რუსთაველმა პიონერმა მხარი დაუჭირა ოპერაცია „მეტალურგს“. პიონერული ორგანიზაციის საქალაქო საბჭოსთან შეიქმნა ოპერაციის შტაბი. შტაბები შეიქმნა ქალაქის ყველა რაზმეულთან.

ოპერაცია „მეტალურგი“ ითვალისწინებს:

რუსთავი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მძლავრი ინდუსტრიული ქალაქია; ქართულმა ფოლადმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა; ტრადიცია გრძელდება. განახლებულ რუსთავში განახლდა ხალიბური ფოლადის დნობა. ქალაქის ყველა რაზმეული, რაზმი, პიონერი გაიცნობს და შეისწავლის ქალაქის ისტორიას, მეტალურგიული ქარხნის ბიოგრაფიას;

კიდევ ერთხელ დაივლიან ქუჩებს, რომელთა სახელებიც ქარხნის მშენებლობასთან ერთად გაჩნდა;

დაუმეგობრდებიან იქ მცხოვრებ მეტალურგებს;

მოაწყობენ ექსკურსიებს და ღია კარის დღეებს ქარხანაში და მის საბაზო № 3 პროფესიულ-ტექნიკურ

და № 94 ტექნიკურ სასწავლებლებში;

ქარხნის კომკავშირელებთან ერთად მოაწყობენ კუთხეებსა და სტენდებს, შეხვდებიან მოწიხე მეტალურგებს;

შეხვდებიან პოეტებსა და მწერლებს, რომლებიც წერენ რუსთაველსა და რუსთაველ მეტალურგებზე; ჩაატარებენ ნახატების კონკურსს — „ვარ რუსთაველი და მიხარია“, აგრეთვე ნორჩ პოეტთა კონკურსს — „შენი ღუმელის ალთან ნაწრთობი ლექსიც ბობოქრობს, როგორც ფოლადი“;

ახალ პიონერულ რაზმებს მიანიჭებენ მოწინავე მეტალურგთა სახელებს, ჩატარდება შრომითი დიდების გაკვეთილები გამოჩენილი მეტალურგების მონაწილეობით.

ოპერაციას ვიწყებთ მეტალურგიული ქარხნის კომკავშირული აქტივისა და ქალაქის სკოლების პიონერული და კომკავშირული აქტივის შესვენებით მრგვალ მაგიდასთან, რომელიც 4 ოქტომბერს გაიმართება. შეხვედრას „ქარხნის სატივარი“ ვუწოდებთ.

რუსთავის პიონერთა საქალაქო საბჭო

პიჭაპი ქარხანაში მოდიან

— შარშან ექსპერიმენტის სახით (პირადად მე მწამს, რომ ექსპერიმენტი გაამართლებს) კომკავშირული საგზურები შემოვიღეთ, — გვიამბობს გურამ ტყეშელაშვილი. — ამჟამად ქარხანაში ოთხმოცდაათამდე საშუალო სკოლის კურსდამთავრებული მუშაობს. ისინი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოვიდნენ.

... სულ რჩეული ბიჭები არიან: ხაშურელი ზაზა გოგოლაძე, თერჯოლელები რეზო ჭოლოკაძე და ჯაბა ლანჩუაძე, თელაველები მერაბ მარკოზოვი და დათო აბიხრიშვილი, რუსთაველები გოჩა ქლიბაძე და ალიკო ქველიაშვილი...

— მინდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოსამზადებელი განყოფილებაზე ჩავირიცხო, მეტალურგობა მაქვს გადაწყვეტილი, — ალიკო ქველიაშვილი ისეთი ბიჭი ჩანს, იტყვის და შეასრულებს კიდევ. — ვიღაცამ ხომ უნდა შეცვალოს ძველი მეფოლადები! ჩემი თანაკლასელებიც აქ არიან — დათო ბასიაშვილი და ბესიკ მაღლაკელიძე. ისინი სხვა სპეციალობას უმიზნებენ, თუ... — ალიკომ ჩაიღიმა. — თუ მე არ გადმოვიბირე...

თუკი ჭაბუკები ბეჯითი შრომითა და დისციპლინით თავს გამოიჩინენ, შეიძლება ჩათვალოს, რომ გზა ხსნილი აქვთ უმაღლესი სასწავლებლისაკენ: უნდათ — მოსამზადებელ განყოფილებაზე ჩაირიცხებიან, სხვები კიდევ ლიმიტით აღჭურვებიან... ოღონდ მოინდომონ, ოღონდ ტყუილუბრალოდ არ დაკარგონ ძვირფასი დრო.

— ქარხნის კომკავშირული ორგანიზაცია, — განაგრძობს გურამი, — ქალაქის მე-10, მე-12, მე-15 და მე-17 სკოლებს შეფობს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მილსაგლინავი სამქროს კომკავშირელებსა და მე-15 საშუალო სკოლის პიონერული რაზმეულის ურთიერთობა. მათ ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩაატარეს და კიდევ ბევრი აქვთ დაგეგმილი.

ბევრი ახალგაზრდა საშუალო სკოლიდან ქარხნის საბაზო მე-3 პროფტექნიკურ და 94-ე ტექნიკურ სასწავლებელში განაგრძობს სწავლას და ერთი წლის შემდეგ ქარხანაში მოდის. მოდის მეფოლადის, მებრძმედის, მვალცავის, მგლინავის სპეციალობით აღჭურვილი. ეს ნაკადი საკმაოდ მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს ქარხნისათვის. მაგრამ კადრების პრობლემას, ცხადია, მარტო ეს ნაკადი ვერ გადაწყვეტს.

— ვფიქრობ, ოპერაცია „მეტალურგს“ სასურველი შედეგები მოჰყვება, — იმედოვნებს დათო ხუციშვილი.




უშრადღებით იხილენ ჩირონარეპი ცნობილი მეფოლადის უზანაო ივანიაშვილის საუბარს.

ოპერაცია „მეტალურგი“

ქეთინო ახალკაცის ენთუზიაზმი საოცრად გადამდებია. ოპერაცია

საბუნდობო



სოციალური

არქალი ბაილარი

მხატვარი შ. ზაზაშვიდი

გზაკაპი

იმ შორეულ-შორეულ წლებში, როცა ის-ის იყო ომმა გრიალით გადაუარა მთელ ქვეყანას, ცხოვრობდა მალჩიშ-კიბალჩიში.

იმ დროისთვის წითელმა არმიამ შორს გარეკა წყეული ბურჟუების თეთრი ჯარები, სიწყნარე ჩამოვარდა იმ ვრცელ მინდვრებზე, მწვანე მდელოებზე, სადაც ჭვავი იზრდებოდა, სადაც უგრეხელი ჰყვავოდა, სადაც ხშირ ბაღებსა და ალუბლის ხეებს შორის იდგა პატარა სახლი, რომელშიც ცხოვრობდნენ მალჩიში, მეტსახელად კიბალჩიში, მალჩიშის მამა და უფროსი ძმა, დედა კი არ ჰყავდათ.

მამა მუშაობდა — თივას თიბავდა. ძმა მუშაობდა — თივას ეზიდებოდა. თვითონ მალჩიშიც ხან მამას ეხმარებოდა, ხან ძმას, ანდა სხვა ბიჭებთან ერთად ხტუნაობდა და ცელქობდა.

სკუპ!.. სკუპ!.. რა კარგია! არ წუიან ტყვიები, არ გრიალებენ ჭურვები, არ იწვის სოფლები, აღარ გვჭირდება ტყვიებისაგან თავის დასაფარავად იატაკზე წოლა ან ჭურვების შიშით სარდაფებში დამალვა, ხანძრის გამო ტყეში გაქცევა. ბურჟუების აღარ გვეშინია. არავის წინაშე თავს არ ვიმცირებთ. იცხოვრე და იმუშავე — სწორედ რომ კარგი ცხოვრებაა!

აი, ერთხელ — ეს ამბავი საღამო

ქამს მოხდა — მალჩიშ-კიბალჩიში პარმალზე გამოვიდა. ხედავს — ცა მოწმენდილია, თბილი ნიაფი ქრის, მზე შავ მთებს იქით ეშვება, თითქოს ყველაფერი კარგადაა და მაინც რაღაცა არაა კარგად. ესმის მალჩიშს, თითქოს რაღაც გრიალებს თუ რახუნობს. ეჩვენება, რომ ნიავს ბაღების, ყვავილების ან მდელოების თაფლის სურნელი კი არ ასდის, არამედ ხანძრების კვამლისა თუ თოფისწამლის. უთხრა მამას, მაგრამ მამა დაღლილი იყო.

— რას ამბობ? — ეუბნება ის მალჩიშს. — შორს, შავ მთებს იქით ავდარია. ეს მწყემსების კოცონების კვამლია ლურჯი მდინარის გაღმა, საქონელს მწყემსავენ და ვახშამს ამზადებენ. წადი, მალჩიშ, და მშვიდად დაიძინე.

წავიდა მალჩიში, დაწვა დასაძინებლად, მაგრამ არ ეძინება, ვერაფრით ვერ დაიძინა.

უცებ ესმის ცხენის თქარათქური, სარკმელზე კაკუნის. გაიხედა მალჩიშ-კიბალჩიშმა და ხედავს: სარკმელთან დგას ცხენოსანი. ცხენი ყორნისფერია, ხმალი — ოქროსფერი, ფაფახი — ნაცრისფერი, ვარსკვლავი კი წითელი.

— ჰეი, ადექით! — დაიყვირა ცხენოსანმა. — უბედურება დაგვატყდა, საიდანაც არ ველოდით, შავ მთებს იქიდან თავს დაგვესხა წყე-

ული ბურჟუა. კვლავ წუიან ტყვიები, ისევ სკდება ჭურვები, ჩვენი რაზმები ებრძვიან ბურჟუებს. მღვერები მიჰქრიან, რომ შორეულ წითელ არმიას საშველად უხმონ.

თქვა ეს შემაშფოთებელი სიტყვები წითელვარსკვლავიანმა მხედარმა და გაქრა. მალჩიშის მამა კი მივიდა კედელთან, ჩამოხსნა შაშხანა, ჩანთა ჩამოიკიდა და სავაზნე გაიკეთა.

— რა ვუყოთ, — ეუბნება უფროს შვილს, — მე ჭვავი სქლად მაქვს დათესილი, — ჩანს, ბევრის აღება მოგიხდება. რა ვუყოთ, — მიუბრუნდა იგი მალჩიშს, — მშფოთვარე ცხოვრება მქონდა და ჩემ მაგივრად მშვიდად ცხოვრება შენ მოგიწევს, მალჩიშ!

ეს თქვა, მაგრამ აკოცა და წავიდა. ხვევნა-კოცნისთვის დრო არ ჰქონდა, რადგან უკვე ყველასათვის ნათელი იყო და ყველას ესმოდა, როგორ გრიალებდნენ მთებს იქით ყუმბარები და როგორ ელაგდა მბოლავი ხანძრების ალი...

ჰოდა... გავიდა ერთი დღე, მეორე. გავიდა მალჩიში პარმალზე: არა, ჯერ არ ჩანს წითელი არმია. მალჩიში სახურავზე აძვრა. მთელი დღე იქ გაატარა. არა, არ ჩანს. დამით დასაძინებლად დაწვა. უცებ ესმის ქუჩაში თქარათქური, ფანჯარაზე კაკუნის. გამოიხედა მალჩიშმა. ფანჯარასთან დგას იგივე მხედარი, მხოლოდ ცხენი გამხდარა და ქანცი გაცლია, ხმალი მოღუნულა, ჩაშავებულია. ფაფახი ტყვისისაგან ვახვრეტილა, ვარსკვლავი — გაჩეხილა, თავი შეხვეული აქვს.

— ჰეი, ადექით! — დაიყვირა მხედარმა. — რაც აქამდე უბედურება ვნახეთ, მონაგონია ამასთან, უბედურება ახლაა. ბურჟუები ბევრნი არიან, ჩვენები კი ცოტანი. მინდვრად ტყვიების ღრუბელი დგას. რაზმებს ათასობით ჭურვი ეყრება თავზე, ჰეი, ადექით, მოგვეცი თმშველი!

აღდა მაშინ უფროსი ძმა და უთხრა მალჩიშს:

— მშვიდობით, მალჩიშ... შენ მარტოღმარტო რჩები... კომბოსტოს წვნიანი ქვამშია, ერთი მთელი პუ-

რი მაგიდაზე დევს, წყალი ბინულე-
ბშია, თავი კი მხრებზე გაბია... იცხ-
ოვრე, როგორც შესძლებ, მე ნუ
დამელოდები.

გადის ღღეები — ერთი, ორი.
ზის მალჩიში სახურავზე საკვამურ-
თან და ხედავს, რომ შორიდან უც-
ნობი მხედარი ცხენს მოაგელვებს.

მხედარმა ცხენი მალჩიშთან მო-
აქენა, ჩამოქვეითდა და უთხრა:

— კარგო მალჩიშ, დამალევიწე
წყალი. სამი ღღეა, არ დამილევი,ა,
სამი ღამეა, არ მიძინია, სამი ცხენი
მოვქანცე. გაიგო წითელმა არმიამ
ჩვენი უბედურება. მესაყვირებმა
ჩაჰბერეს ყველა საგანგაშო საყვირს.
მედოლეებმა დასცხეს ყველა ძლი-
ერ დოლს, მედროშეებმა გაშალეს
ყველა საბრძოლო დროშა, მოჰქრის
და მოფრინავს საშველად მთელი
წითელი არმია. ოღონდ ჩვენ, მალ-
ჩიშ, როგორმე ხვალამდე უნდა გა-
ვუძლოთ.

მალჩიში სახურავიდან ჩამოძვრა,
წყალი მოუტანა. მაცნემ წყალი და-
ლია და გზა განაგრძო.

აი, შეღამდა და მალჩიში დასაძი-
ნებლად დაწვა, მაგრამ არ ეძინება,
— აბა, რა დროს ძილია.

უცებ ესმის ქუჩაში ფეხის ხმა,
ფანჯარასთან ფაჩუნნი. გაიხედა მალ-
ჩიშმა და ხედავს: დგას ფანჯარას-
თან ისევ ის კაცი, თითქოს ჰგავს და
არცა ჰგავს. არც ცხენი ჩანს საღმე

— ცხენი დაელუბა, არც ხმალი
აქვს — ხმალი გაუტყდა, არც ფაფა-
ხი ახურავს — ფაფახი გადაუვარდა.
დგას კაცი და ბარბაცებს...

— ჰეი, ადექით! — დაიყვირა მან
უკანასკნელად, — ჭურვები გვაქვს
და მსროლელები დახოცილია, შაშ-
ხანები გვაქვს და მებრძოლები ცო-
ტაა. მალე გვეშველება, მაგრამ ძა-
ლა აღარა გვაქვს. ჰეი, ადექით, ვინც
კიდევ დარჩით! ოღონდ ამალამ და
ხვალინდელ დღეს გავუძლოთ.

გაიხედა მალჩიშ-კიბალჩიშმა ქუ-
ჩაში. არავინაა, არ რახუნობს დარ-
აბები, არ ჭრიალებს ჭიშკრები. არ-
ავინაა, რომ ადგეს. მამებიც წავიდ-
ნენ, ძმებიც — აღარავინ დარჩა.

ხედავს მალჩიში, რომ მხოლოდ
ერთი ასი წლის მოხუცი გამოვიდა
ჭიშკრიდან. უნდა შაშხანის აღება,
მაგრამ ისეთი მოხუცია, ვერ აიღო.
უნდა ხმალი ჩამოიკიდოს, მაგრამ
ისე დასუსტებულია, რომ არ შეუ-
ძლია. ჩამოჯდა მაშინ ბაბუა მიწაყ-
რილზე, თავი ჩაქინდრა და ატირ-
და... ამან გული ატკინა მალჩიშს.
გამოვარდა ქუჩაში და ძალიან ხმა-
მალა შესძახა:

— ჰეი, თქვენ, ბიჭუნებო! იქნებ
გგონიათ, ბიჭებმა მხოლოდ რიკტა-
ფელა უნდა ვითამაშოთ და ასკინკი-
ლა ვიხტუნოთ? მამებიც წავიდნენ,
ძმებიც წავიდნენ. ჩვენ კი ვისხდეთ
და ველოდოთ, ბურჟუები როდის

მოვლენ და თავიანთ წყაულ სამეფ-
ოში წაგვასხამენ!

ეს სიტყვები რომ გაიგონეს, პატა-
რა ბიჭები სხვადასხვა ხმაზე აღრი-
აღდნენ. ზოგი კარებიდან გამორ-
ბის, ზოგი ფანჯრიდან ძვრება, ზო-
გი ღობიდან ხტება.

ყველას უნდა მიეშველოს. მხოლო-
დ ერთმა ცუდმა ბიჭმა ისურვა
ბურჟუების სამეფოში წასვლა. მაგ-
რამ ისეთი ცბიერი იყო ეს ცუდი
ბიჭი, რომ არავის არაფერი უთხრა.
შარვალი აიწია და ყველასთან ერ-
თად ვითომდა საშველად წავიდა.

იბრძვიან ბიჭები გვიან ღამიდან
განთიადამდე. მხოლოდ ის ცუდი
ბიჭი არ იბრძვის, დადის და სულ
ფარულად ათვალისებრს იქაურობ-
ას, ფიქრობს, რით დაეხმაროს ბურ-
ჟუებს. ხედავს ცუდი ბიჭი, მთის
იქით ყუთები ყრია, ამ ყუთებში
აწყვია შავი ყუმბარები, თეთრი ჭუ-
რვები და ყვითელი ვაზნები. „ეჰე,
— გაიფიქრა ცუდმა ბიჭმა. — მე
სწორედ ეს მჭირდება“.

ამ დროს მთავარი ბურჟუა ეკით-
ხება თავის ბურჟუებს:

— აბა, ბურჟუებო, გაიმარჯვით
თუ არა?

— არა, — უპასუხეს ბურჟუებმა,
— ჩვენ მამები და ძმები დავამარ-
ცხეთ და ის იყო ვიმარჯვებდით,
რომ მათ საშველად მოიჭრა მალ-
ჩიშ-კიბალჩიში. ის კი ჯერ ვერაფ-
რით დავძლიეთ.

ძლიერ გაოცდა და განრისხდა
მაშინ მთავარი ბურჟუა და მრისხა-
ნე ხმით დაიყვირა:

— გაგონილა განა ამისთანა, მალ-
ჩიში ვერ დაუმორჩილებიათ? ოჰ,
თქვე უვარგისო ბურჟუებო! რო-
გორ არ შეგიძლიათ ასეთი პატარას
დამარცხება? ახლავე გასწიეთ და
თუ გამარჯვებას არ მოიპოვებთ,
უკან არ დაბრუნდეთ.

აი, სხედან ბურჟუები და ფიქრო-
ბენ: რა ქნან, როგორ მოიქცნენ?
უცებ, ხედავენ: ბუჩქიდან გამოძვრა
ცუდი ბიჭი და პირდაპირ მათთან
მივიდა.

— გაიხარეთ! — ყვირის ის. —
ეს ყველაფერი მე, ცუდმა ბიჭმა გა-
ვაკეთე: შეშა დავაპე, თივა მივზი-
დე და ცეცხლი წავუთიდე ყველა 9



ყუთს, რომლებშიც შავი ყუმბარე-
ბი, თეთრი ჭურვები და ყვითელი
ვაზნები ეწყო, სადაცაა იგრილებს.
გაიხარეს მაშინ ბურჟუებმა, ჩა-
წერეს ცული ბიჭი თავიანთ სამეფ-
ოში, მისცეს მთელი კასრი მურაბა
და მთელი კალათა ნამცხვარი.

ზის ცული ბიჭი, ჭამს ხარბად და
უხარია.

უცებ აფეთქდა ცეცხლმოკიდებუ-
ლი ყუთები და ისე დაიგრილა, თი-
თქოს ათასი მეხი ერთ ადგილას
დაცემულიყოს და ათასი ელვა ერ-
თი ღრუბლიდან გამომკრთალიყოს.

— ლალატია! — დაიყვირა მალ-
ჩიშ-კიბალჩიშმა.

— ლალატია! — დაიყვირეს მისმა
ერთგულმა ბიჭებმა.

მაგრამ ამ დროს კვამლსა და ცე-
ცხლიდან მათ თავს დაატყდნენ ბუ-
რჟუები მთელი თავისი ძალებით და
შეიპყრეს მალჩიშ-კიბალჩიში.

მძიმე ბორკილები დაადეს მალ-
ჩიშს, ქვის კოშკში ჩასვეს, მერე კი
მთავარ ბურჟუასთან წავიდნენ საკ-
ითხავად, ტყვე მალჩიშს რა ვუყო-
თო.

დიდხანს ფიქრობდა მთავარი
ბურჟუა, ბოლოს მოიფიქრა და
თქვა:

— ამ მალჩიშს ჩვენ მოვკლავთ,
მაგრამ ჯერ უნდა გვითხრას თავიან-
თი სამხედრო საიდუმლოება. წადით,
ბურჟუებო, და ჰკითხეთ:

— რატომ ებრძოდნენ, მალჩიშ,
წითელ არმიას ორმოცი მეფე და

ორმოცი იმპერატორი, ებრძოდნენ
და ბოლოს თვითონ დამარცხდნენ?

— რატომაა, მალჩიშ, რომ ყველა
ციხე და კატორღა სავსეა, ყველა კუ-
თხეში ჟანდარმები დგანან, მთელი
ჯარი ფეხზეა, მაგრამ არც დღით
და არც ღამით მოსვენება არა
გვაქვს?

— რატომაა, მალჩიშ, წყეულო,
კიბალჩიშ, რომ ჩემს დიდ სამეფო-
შიც, ტრამალების სამეფოშიც, თო-
ვლის სახელმწიფოშიც და ბოლოს
ხორშაკის ქვეყანაშიც ადრეულ გა-
ზაფხულსა თუ გვიან შემოდგომაზე,
ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა
ენაზე ერთსა და იმავე სიმღერებს
მღერიან, სხვადასხვა ხელებში ერ-
თნაირი დროშები ფრიალებს?

თქვენ ჰკითხეთ, ბურჟუებო:

— ხომ არა აქვს, მალჩიშ, წითელ
არმიას რამე სამხედრო საიდუმლო-
ება?

მან უნდა გაგვიმჟღავნოს საიდუ-
მლოება.

— ხომ არ ეხმარებიან ჩვენს მუ-
შებს სხვები?

მან უნდა გვითხრას, საიდან ილ-
ებენ დახმარებას.

— ხომ არ არის, მალჩიშ, ფარუ-
ლი სავალი თქვენი ქვეყნიდან ყვე-
ლა სხვა ქვეყანაში, რომლითაც
თქვენთან რომ დაიძახებენ, ჩვენთან
გამოეხმარებიან, როგორც კი
თქვენთან დაიწყებენ სიმღერას,
ჩვენთან აპყვებიან, თქვენთან ნათ-
ქვამს ჩვენთან უფიქრდებიან?

წავიდნენ ბურჟუები და ამდღე უკე-
ან დაბრუნდნენ.

— არა, მთავარო ბურჟუავ, არ
გაგვიმჟღავნა მალჩიშ-კიბალჩიშმა
სამხედრო საიდუმლოება. დაგცი-
ნა მხოლოდ.

— აქვს, — თქვა მან, — მტკიცე
წითელ არმიას ძლიერი საიდუმლოე-
ბა და როცა არ უნდა დაესხათ თავს,
არ გელირსებათო გამარჯვება.

— ჰყავსო, — თქვა, — უთვალა-
ვი დამხმარე და რამდენიც არ უნდა
ჩაპყროთ ციხეებში, ყველას მიინც
ვერ ჩაპყროთ. არ გექნებათო მო-
სვენება არც დღისით და არც ღა-
მით.

— არისო, — თქვა, — ღრმა, სა-
იდუმლო სავალები, მაგრამ რამდენ-
იც არ უნდა ეძიოთ, სულ ერთია,
ვერ იპოვით... კიდევ რომ იპოვოთ,
ვერ ჩახერგავთ, ვერ ამოავსებთ. ამ-
ის მეტს მე თქვენ, ბურჟუებო, აღა-
რაფერს გეტყვით, თქვენ კი, წყეულ-
ებო, მთელი სიცოცხლე რომ იფიქ-
როთ, მიინც ვერ მიხვდებით.

მოიღუშა მაშინ მთავარი ბურჟუა
და თქვა:

— აწამეთ სასტიკად ის გულჩახ-
ვეული მალჩიშ-კიბალჩიში, თუკი
არსებობს რაიმე საშინელი წამება
მთელ ქვეყანაზე და დაადენინეთ
როგორმე სამხედრო საიდუმლოება;
რადგან ეს მნიშვნელოვანი საიდუმ-
ლოება თუ ვერ გავიგეთ, არ გვექ-
ნება მოსვენება და ვერც ველირსე-
ბით მშვიდ ცხოვრებას.

წავიდნენ ბურჟუები და ამჯერად
გვიან დაბრუნდნენ.

მოდიან და თან თავს აქნევენ.

— არა, — თქვეს, — ჩვენო უფ-
როსო, მთავარო ბურჟუავ, გაფით-
რებული, მაგრამ ამაყი იდგა მალჩი-
ში და არ გაგვიმხილა სამხედრო
საიდუმლოება, იმიტომ, რომ თავი-
სი სიტყვის პატრონია. ხოლო უკან
რომ ვბრუნდებოდით, იგი იატაკზე
განერთხო, ცივი იატაკის მძიმე ქვას
ყური დაადო, და, არ დაიჯერებთ,
მთავარო ბურჟუავ, ისე გაიღიმა, რომ
ჩვენ, ბურჟუები შეგვკართით, შევში-
ნდით, ნეტავ ხომ არ გაიგონა, რო-
გორ მოაბიჯებს საიდუმლო გზებით
ჩვენი გარდაუვალი დალუპვა?





უნვა, ბუნდი!

ნაგზარ აუსახავა

მ ო თ ხ რ ო ბ ა

ზატვარი ჯამალ ლოლუა

— მოდი, ჯერ მოვილაპარაკოთ, — მშვიდობიანი ღიმილით უთხრა ჟენიამ. — თუ გაჯობე, პირობებს მე წამოგიყენებ, ყველაფერში კლასს უნდა დაუჯერო, ხოლო შენ თუ მაჯობე, მაინც კლასს უნდა დაუჯერო. თანახმა ხარ?

— ეგრე იყოს! — წამოაყრანტალა რობიკამ. ბავშვებმა გაიცინეს.

— ჰა, მოდი, ბევრს ნულარ ყბედობ! — ჩაიდუდლუნა ფეთიანმა და ჟენიას გაშლილ ხელისგულს თავისი შეაგება.

შეაგება და მაშინვე იგრძნო, რა კერკეტ კაკალთანაც ჰქონდა საქმე. ტოპრაკიანთ ბიჭმა ისე ჩაბლუჯა მისი თითები, რომ სახსრებმა ტკაცანი მოიღეს. ლადომ კრიჭა შეიკრა, უნებლიე კვნესა რომ არ დასცდენოდა, მთელ ძალას მაჯაში მოუყარა თავი, მაგრამ ამაოდ — მისი ხელის ზურგი უკვე ნელ-ნელა, თანაბარზომიერად უახლოვდებოდა მერხის ფიცარს. ფეთიანს სხეულის ყველა კუნთი, ყოველი ძარღვი უკიდურესად დაეძაბა, მხარაც წასწია წინ, მკერდითაც მიაწვა მერხის კიდე... მაინც ვერაფრით უშველა წამხდარ საქმეს. არაქათგამოცლილმა კუნთები მოადუნა და ის იყო, დაჰყვა გამარჯვებულის ნებას, რომ უცებ საოცარი რამ მოხდა — მოპირდაპირემ თვითონ შეასუსტა დაწოლა, შეასუსტა კი არა, პირიქით, ლადოს ჩაბლუჯული ხელი ნელ-ნელა ისევ ზევით წამოსწია, მცირე ხანს ვერტიკალურად შეაჩერა, ოდნავ ისევ გადახარა მარცხნივ, მერე ისევ გაასწორებინა... ფეთიანმა ჟენიას შეხედა. მიმნდობი ღიმილი და კეთილმოსურნეობა ეწერა ამ უცნაური ბიჭის დიდრონ თაფლისფერ თვალებში. ჟენიამ კი, თითქოს მოპირდაპირის შემოხედვას ელოდაო, მყისვე ხელი გაუშვა ლადოს მარჯვენას, ერთიმეორეზე შეწებებული თითები ხელისგულებით მოუსრისა და გულლიად გაუღიმა:

— არა გიშავს, შენც მაგარი ბიჭი ყოფილხარ!..

სექტემბრის მიწურულის ერთი მზიანი დღე ძალზე ცუდად დასაღამოვდა.

— მოდი აქ, ჟენ! — დაუძახა დედამ, როცა ჟენიამ დერეფანი გაიარა და ოთახის კარი შეაღო.

კლავდია ფედოროვნა ის იყო სამსახურიდან დაბრუნდა და დერეფნის ბოლოში პირსაბანთან ხელებს იბანდა. ბებია სუფრას შლიდა ოთახში — სადილობის დრო იყო.

ბიჭი გამობრუნდა და დედას გვერდით დაუდგა.

— რაო, დედი?

— შენ პავლიკა ანანიანს იცნობ, ხომ?

— ვიცნობ, ამხანაგები ვართ. მერე რა?

— მამამისს არტაშა ჰქვია?

— დიას.

— ეგ არტაშაა, სატივე მორები რომ გიშოვათ, არა?

— ეგ არი. რა მოხდა, დედი, არ იტყვი?

— რა და... — კლავდია ფედოროვნა პირსახოცს მისწვდა. — რა და, უბედურება შეემთხვა საწყალს.


— რა უბედურება?!

— ეგ ხომ ელექტროხერხზე მუშაობდა. როგორღაც უხერხულად წაბორძიკებულა თურმე და წრიულ ხერხს ზედ მაჯაში გადაუსხებია მარჯვენა. ჩვენთან მოიყვანეს ამ დილით. საშინელ დღეში იყო საცოდავი, ძლივს შევუწყვიტეთ სისხლისდენა.

— აუჰ! — ესლა თქვა ჟენიამ და მეტად ხმის ამოღება ველარ მოახერხა. შებრუნდა, ოთახში შევიდა, ღია ფანჯარასთან მიეყრდნო კედელს.

ძია არტაშა დაუდგა თვალწინ. გული შეეკუმშა... ლუკმა ვერ შეჭამა სადილის მაგიდასთან. დედას არც დაუძალეზბია. გაკვირვებულმა ბებიამ რაღაცის თქმა რომ დააპირა, კლავდია ფედოროვნამ — ხმა არ გასცეო, ანიშნა თავის ოდნავი გაქნევით.

პავლიკას ბუნდოვნად ახსოვდა დედა, ხოლო მისი უმცროსი და, მეშვიდე წელში გადამდგარი აშხენი, მხოლოდ ერთადერთი ფოტოსურათით იცნობდა მის სახეს — ექვსი თვეც არ შესრულებოდა, დედა რომ გარდაიცვალა. ასე რომ, შვილების აღზრდის სიმძიმე მამას დააწვა მხრებზე, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ღვთისნიერი



მეზობლები მხარში რომ არ ამოსდგომოდნენ, ვინ იცის, რა დღე დაადგებოდათ ბავშვებსაც და თვითონ არტაშასაც.

შუა ოქტომბერი იდგა. ისეთი თბილი, ნათელი, ოქროსფერი დღეები გადაება ერთმანეთს, კაცი ინატრებდი, ნეტა გაზაფხულამდე სულ ასე გაგრძელდებოდა.

ეზოში დანდობილად შემოვიდა ორი ბიჭი. ერთი კაფანდარა იყო, მეორე — ჯმუხი და პირბადრი.

— ვინ გინდათ, შეილუო? — ჰკითხა ნინო ძაღლმ და ბავშვებს დააკვირდა, თითქოს ენახა, მაგრამ ვერ გაიხსენა, სად და როდის.

— პავლიკა გვინდა, ანანიანი, — თქვა ჯმუხმა.

ამ დროს არტაშამაც ამოიარა თავისი კიბის საფეხურები და სტუმრები რომ დაინახა, მათკენ წამოვიდა. თეთრი ბანდით შეხვეული მარჯვენა ისევ მკერდზე ეკიდა.

— აა, თქვენა ხართ, ბიჭებო? მოდით, გენაცვათ, მოდით! — მიესიყვარულა და ნინო ძაღლს მიუბრუნდა: — პავლიკას ძმაკაცები არიან, აი, ტივით მინგეჩაურში რომ აპირებდნენ ჩასვლას... მაგრამ პავლიკა რო სახლში არ არი? — შეწუნდა არტაშა: — თავის ბიძასთან წავიდა ისანში, საღამომდე არ მოვა! აფსუს, ეწყინება, აი, ჩემმა მზემ! შენ ჟენია არა გქვია, ბიჭიკო?

— დიახ, მე ჟენია ვარ, ეს კი თემოა, ჩვენი მეგობარი. გარეთ, ქუჩაში, სხვებიც არიან — ძია მიშა, მარატი, შალიკო, ლიალია, ნატა, ვახო, ირა... შეშა მოგიტანეთ, არტაშა ძია.

— რაო?! — არტაშა ანანიანმა ახლალა დაინახა ეზოს მომდგარი ავტომანქანა. ბავშვებს უკვე ფართოდ გაეღოთ ჭიშკარი. — შეშა მ იმიტანეთ? მეე? როგორ, კაცო, რანაირად?

ეზოში ქერა გოდ აათმა შემოალაჯა, ბავშვები იქით-აქით მიხვეტ-მოხვეტა, მერე თვითონაც განზე გადაა და მძლოლს გასძახა:

— მოდი, მოდი, გენა, ნუ გეშინია!..

8

22 დეკემბერს რომ ევდოკია ლვოვნა დაკრძალეს, ათი დღის შემდეგ, ნახალწლევს, 1941 წლის 2 იანვარს ვანო ტოპრაკაშვილმა დილაუთენია შეაღო თავისი ბინის კარი. სიღედრის გარდაცვალების ამბავი მას ფოთში შეეტყო თავისი მეგობრის, რაშიდ ალიევისაგან.

კლავდიას უკვე გამოტირებული პყავდა დედა, მაგრამ როცა ქმარმა მკერდში ჩაიკრა და თმაზე ხელი გადაუსვა, გულამოსკვნილი აქვითინდა და კარგა ხანს ველარ შეიშრო ცრემლი.

ჟენიამ პირდაპირ საწოლიდან ისკუპა და კისერზე ჩამოეკიდა მამას.

ნავახშმევს (უკვე კარგად იყო დაბინდებული) ჟენია ჯეკ ლონდონის „ზღვის მეგელს“ ჩაუჯდა, დედამ დივანზე მოიკალათა და მეუღლის სეიტრის ქსოვა განაგრძო, მამა კი ისევ ძველისძველ რადიომიმღებს უკირკიტებდა, რომელსაც რაღაც განუკურნებელი სენი შეჰყროდა, მაგრამ გადასაგდებად მაინც ვერ გაუმეტებინათ.

მერე მამამ ერთბაშად თავი გაანება მიმღებს და წამალლა თქვა:

— ერთი საინტერესო ცნობა მოისმინეთ, ხალხო: ლენინგრადში შავი ზღვის ფლოტის სარდალს, ვიცე-ადმირალ ოქტიაბრსკის შევხვდი. შენ ნანახი გყავს ის, კლავა. მაღალი, შავულვაშა ელევანტური კაცია... აი, ამ ოქტიაბრსკიმ ოდესაში გადასვლა შემომთავაზა.

— ოდესაში? — გაიკვირა დედამ.

— ჰო, ოდესის სამხედრო-საზღვაო ბაზის შტაბის უფროსი სადღაც სხვა თანამდებობაზე გადაჰყავთ და, ცხადია, შტაბის შემადგენლობაში ცვლილებები მოხდება. მაისისთვის შეემზადეო. მითხრეს.

— მაისისთვის? მერე, ჩვენ?


— თქვენც ჩემთან ერთად წამოხვალთ. ერთი და ორი თვით კი არ მივდივარ ოდესაში!

ჟენიამ ცივად დახურა ჯეკ ლონდონის ტომი.

9

ორმოცდაერთის ცხრამეტ მაისს, თბილისიდან გამგზავრებამდე ათიოდე დღით ადრე, ჟენია ტოპრაკაშვილი, ლია ბოდოკია, ოთარ ალანია, შალვა პაპიძე, მარატ კაცუნელსონი, ნატა მახვილაძე და კიდევ რამდენიმე გოგობიჭი პიონერული ორგანიზაციის რიგებში მიიღეს...

„მე, ევგენი ტოპრაკაშვილი, შევდივარ რა ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის რიგებ-





ში, ჩემი ამხანაგების წინაშე ვიძლევი საზეიმო დაპირებას:

„მხურვალედ მეყვარება ჩემი სამშობლო. ვიცხოვრებ და ვისწავლი ისე, როგორც გვიანდერძა დიდმა ლენინმა...“

მის პირდაპირ, საღმის ნიშნად ხელშემართული პიონერხელმძღვანელის ზურგს უკან, ყველასათვის საყვარელი ნინო მასწავლებელი იდგა და სახეზე ნათელი ღიმილი ეფინა.

„მე, მარატ კაცნელსონი“...

„მე, ნატა მახვილაძე...“

„მე, ოთარ ალანია...“

ჟენიამ თავის პიონერულ ყელსახვევს, თბილი ნიავი ოდნავ რომ აფრიალებდა, ფრთხილად, კრძალვით დაუსვა ხელი.

„პიონერულ ყელსახვევს სამი ბოლო აქვს, — განმიანდა მის მეხსიერებაში ნინო მასწავლებლის სიტყვები, რომლებიც კომუნისტებისათვის მებრძოლი სამი თაობის — კომუნისტების, კომკავშირელების, პიონერების ერთიანობას განასახიერებენ. წითელი ყელსახვევი ნაწილია ჩვენი დროისა, რომელიც ხალხის ბედნიერებისათვის მებრძოლი ათიათასობით შესანიშნავი ადამიანის სისხლითაა შეღებილი...“

რკინიგზის სადგურში ჟენია და დედამისი მიღეთის ხალხმა გააცვილა: აქ იყვნენ ძია მიშა, არტაშა ძია, მეზობლები, ჟენიას ეზოს ამხანაგები და თანაკლასელები. ნინო მასწავლებელი და ცისანა ხელმძღვანელიც მოვიდნენ. ნინო მასწავლებელს არაფერი უთქვამს, მხოლოდ იღიმებოდა თავისი განუმეორებელი ღიმილით. გამომშვიდობებისას კი ჟენიას თავი მკერდზე მიიკრა და ბიჭმა აშკარად გაიგონა მისი გულისცემა.

აგერ უკვე მეოთხე თვე სრულდებოდა, რაც საბჭოეთის მიწაზე სამამულო ომი მძვინვარებდა — ყველაზე უმძიმესი, უსასტიკესი და გამანადგურებელი ომი კაცობრიობის ისტორიაში.

თავიანთი სისასტიკით ჰიტლერელმა ფაშისტებმა და ჩრდილეს ჰუნები და ვანდალები, კალიგულა და დარიოსი, ნერონი და ჩინგის-ხანი, ჯალალ-ედ-დინი და ყოველი ჯურის იეზუიტი.

ყველგან, სადაც კი ისინი ცეცხლითა და მახვილით გაივლიდნენ, რჩებოდა ნანგრევები და ნაცარტუტა, სისხლი და ცრემლი, კრემატორიუმთა შხამიანი კვამლი და საკონცენტრაციო ბანაკების სამკეცი მავთულსლართი.

„დედა-სამშობლო გვეძახის!“ — მოუწოდებდა ხალხს ირაკლი თოიძის პლაკატიდან მკაცრად შუბლშეკრული, მაღლა ხელშემართული დედა.

ქვეყნის ერთი კიდიდან მეორემდე მრისხანე ტალღად გადადიოდა შეგუბებული ბოლშითა და გამარჯვების უტეხი რწმენით სავსე მქუხარე სიმღერა:

«...Пусть ярость благородная
Вскипает как волна.
Идёт война народная,
Священная война!»

დღე ერთი იყო და მსხვერპლი — ათასი.

ოდესა — ჩრდილო შავიზღვისპირეთის უმნიშვნელოვანესი ნავსადგური — 1941 წლის 5 აგვისტოდან ფაქტობრივად უკვე მოწყვეტილი იყო ხმელეთს და მხოლოდ ზღვის სიფათიანი გზით უკავშირდებოდა სხვა ნავსადგურებს, უპირველესად კი — სევასტოპოლს.

8 აგვისტოს ქალაქის გარნიზონის უფროსმა, კონტრადმირალმა ჟუკოვმა სააღყო წესები გამოაცხადა.

იმავე დღეს ოდესის გარეუბნებში დაიწყო ბარიკადების მშენებლობა. ყველაზე შრომისუნარიანი მოსახლეობა — თითქმის 100 ათასი კაცი — ქალაქის მისადგომებს ამავრებდა, ბარიკადებს კი ძირითადად ქალები, ბავშვები და მოხუცები აგებდნენ.

ჟენია ტოპრაკაშვილი და მისი თანატოლები გათენებიდან შებინდებამდე ქუჩებში ქვაფენილს ჰყრიდნენ, სილიან ტომრებს დაათრევდნენ, ცარიელ კასრებს მიარიხინებდნენ, წყალი მიჰქონდათ წელში გაწყვეტილი ქალებისა და უილაჯო მოხუცებისათვის, თვითონაც მუხლი ეკვეთებოდათ დაღლილობისაგან, მაგრამ წარბს არ ინრდდნენ, ერთი კენესა ან წუწუნიც კი არ დასცდენიათ — საერთო საქმე კეთდებოდა, სახალხო, საქვეყნო საქმე.

ვანო ტოპრაკაშვილის ოჯახი პუშკინისა და როზა ლუქსემბურგის ქუჩების კუთხეში ცხოვრობდა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ბოლო ხანს ამ ბინაში, იძვიათი გამონაკლისის გარდა, მარტო ჟენია ათევედა ხოლმე ღამეს — მამა თითქმის ვერ შორდებოდა სამხედრო-საზღვაო ბაზის შტაბს, დედაც ჰოსპიტალში აღამებდა და ათენებდა. ერთმანეთს კვირაში ერთხელ თუ ნახულობდნენ, უმთავრესად — შემთხვევით და მოულოდნელად.

ღამით, როდესაც ქვემეხების მოახლოებული გრუსუნის ან საზენიტო არტილერიის ბათქაბუთქისაგან ძილი გაუფრთხებოდა, ჟენია თავს წამოსწევდა, დედ-მამის ცარიელ საწოლებს თვალს შეავლებდა და გულში ბოლმა ჩაუგუბდებოდა.

გამთენიისას, როცა ზღვაური დაუბერაჟდა და ღია ფანჯარასთან გაყურებულ ნეკერჩხალს ფოთლებს აუშრიალებდა, ჟენიას ეღვიძებოდა, თვალეზს მოიფშვინტდა, დამძიმებულ და თითქოს გახვევებულ კუნთებს რიგრიგობით დაჭიმავდა და მაშინვე სწრაფად მოადუნებდა — ნელ-ნელა აღვიძებდა სხეულის ყოველ ნაწილს. მერე დგებოდა, ხელ-პირს დაიბანდა, ხამი პირსახოცით წელზემთ ტანს დაიზელდა, ჩაიცვამდა, ხელში შავი პურის ყუას და კვინტ შაქარს დაიჭერდა და კარს გამოიხურავდა.

ბიჭები იქვე, ბი.სახვევში ელოდებოდნენ ხოლმე.

იმ დღეს კიშინიოვის ქუჩის ბოლოში აღმართეს ბარიკადა.

შესვენებისას ქალებმა სახელდახელო ღარიბული სუფრა გაშალეს სილიან ტომრებზე. ჟენიამ და მისმა მეგობრებმაც ამოალაგეს ჯიბე-უბეებიდან, რა ავლა-დიდებაც გააჩნდათ.

გაფიჩხებულ პურს პირველი ნამცეცი რომ ჩამოამტვ-



რიეს, ერთმა დედაკაცმა თავსაფრის ყური ამოისვა თვალებში.

— ვაიმე, შვილებო, — დაიკვნესა, — თქვენ ახლა აქ რა გინდათ, გაკვეთილებზე უნდა იხსდეთ და წიგნებს ჩასცქეროდეთ... ღმერთო, შენ აუბნევი პიტლერს გზა და კვალი, როგორც ჩვენ აგვირია ცხოვრება!

ჟენიას გულმა რეჩხი უყო და ლუკმა ყელში გაეჩხირა: მართლაც, აკი დღეს პირველი სექტემბერი იდგა, ორშაბათი... დღეების ანგარიში ისე აერია, სექტემბრის დადგომა გამოეპარა!

ნეტა რა ამბავია ახლა თბილისში, მის მშობლიურ 41-ე სკოლაში? რას შერებთან თემო, მარატი, ლიალია, ნატა, პავლიკა, ნელი, ნოდარი?... ისევ ნინო მასწავლებელი ასწავლით ნეტავი?

ერთი წუთით, თუნდაც მხოლოდ ერთი წუთით დასვა ახლა გაკვეთილზე, მხოლოდ ერთხელ შეავლებინა თვალი ამხანაგებისათვის...

— ჰე, შვილო, შეჭამე ახლა ორიოდ ლუკმა, — გამოაფხიზლა თავსაფრიანი ქალის ალერსიანმა ხმამ. — კიდევ ბევრი გვაქვს, შვილო, სამუშაო. ძალა უნდა მოიკრიბო...

დედა შინ დაუსვდა. უსიტყვოდ ჩაიხუტა შვილი, თავზე ხელი გადაუსვა. მერე თვალებში ჩახედა.

— დაილაღე, ჟენ?

— ისე, რა. შენა?

დედამ ნაღვლიანად გაიღიმა.

— მეც ისე, რა.

თვალის უპეები შეშუპებოდა, ხმა ჩახრინწვოდა.

— მამა არ მოვა?

— მგონი უნდა მოვიდეს. დილით ოპერაციაზე ვიყავი, როცა ჰოსპიტალში დაურეკავს, იქნებ ამაღამ შინ დავრჩეო. მოგენატრა?

— ჰო. შენც ძალიან მომენატრე...

— პირველი სექტემბერია დღეს... ეჰ...

— ვიცი...

დედამ ხალათი გადაიცვა.

— კარტოფილს დავთლი, მამაშენი მოშიებული მოვა ალბათ. შენც ხომ გშია?

— არც ისე. დავუცდი.

კართან მისული კლავდია ფედოროვნა შემობრუნდა.

— ჰო, მართლა, რამაზი ვნახე დღეს. დაჭრილი მეგობრის სანახავად იყო ჩვენთან, ჰოსპიტალში. იქ შემხვდა.

— არ მომიკითხა?

— მოგიკითხა და კიდევ დამაბარა, ჟენიას გადაეცით, ჩვენი შეთანხმება მახსოვს და ყველაფერი კარგად იქნებაო.

— მართლა?!

— მართლა. გატყობ, გაგიხარდა. რაო, რაშია საქმე, რა შეთანხმებას გულისხმობდა?

ჟენია შეყოყმანდა:

— ისეთს არაფერს, დედი...

— მაინც?

— მაინც... — ჟენიამ დედას თვალი აარიდა. სიმართლის თქმა. მაგრამ ოდესმე ხომ უნდა უთქვას, მამ რაღად უნდა გადაედო? ამიტომ... შემობრუნდა და: — კატარაზე იუნგად მივდივარ, დედი!... — თქვა მტკიცედ. — უნდა წავიდე!.. — დააზუსტა.

„უნდა წავიდე!“

კლავდია ფედოროვნას არაფერი უპასუხნია. კარგად იცნობდა თავის კერპ ბიჭს და იცოდა, რომ ამ „უნდა წავიდე!“-ს ვეღარ გადაათქმევინებდა. უხმოდ შებრუნდა და სამზარეულოში გავიდა.

ჟენიას იშვიათად უნახავს მამა ასეთი ალღელებული, აგზნებული, ფრთებშესხმული. ვანო წინ და უკან დადიოდა ოთახში და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჰყვებოდა:

— შენ იცი, რა მოხდა, კლავა?! ჟენ, შენც ყურადღებით მომისმინე! ეს ხომ გაუგონარი ამბავია! მომავალში ამაზე ბევრს ილაპარაკებენ! აი, ნახავთ! თვით ოქტიაბრსკის რომ არ წაეკითხა, ვერ დავიჯერებდი! თქვენ წარმოიდგინეთ, ხმა უთრთოდა! გესმით? ოქტიაბრსკის უთრთოდა ხმა, ამ რკინის აღმირალს! მამ, კაცო!

— ბოლოსდაბოლოს, დამშვიდდი და გვიამბე, რა მოხდა, ვანო, — დაუყვავა კლავდია ფედოროვნამ.

— დამშვიდდიო... ადვილად სათქმელია!.. კარგი, აჰა, დავმშვიდდი... შენ ხომ კარგად იცი, კლავა, რა დღემიც ვართ, რა გასაჭირი გვადგას, რეზერვები თითქმის მთლიანად გამოგველია, მტერი კი გვაწვება. შეველა არსაიდან ჩანს, ჯვარს ეცვი, თუ გინდა... ჰოდა, აი, ოქტიაბრსკიმ დეპეშა აფრინა ამ დილით კრემლში, ქალაქი სასიკვდილო საფრთხეშია, რაღაც უნდა ვიღონოთო, — ვანოს ისევ ჩაეხრინწა ხმა, ჩაახველა, ყელი მოისრისა. — ჰოდა, როგორ ფიქრობ, რა პასუხი მოვიდა იქიდან, თუ იცი? ხომ გეუნებები, ოქტიაბრსკის ხმა უკანკალებდა-მეთქი... ჩემო კარგო, კლავდია ფედოროვნა, ძვირფასო, მოსკოვი კი არ მოითხოვს ჩვენგან მტრის შეჩერებას და პოზიციის შენარჩუნებას, არამედ გვთხოვს, როგორმე გავუძლოთ დახმარების მოსვლამდე! გესმით თქვენ ეს?! აი, რა ეწერა დეპეშაში, — ვანომ ხმას დაუწია და მკაფიოდ, თითქმის დამარცვლით განაგრძო: — „გადაეცით ოდესის დამცველ მებრძოლებსა და მეთაურებს უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის თხოვნა — გასძლონ ნ-7 დღის განმავლობაში, ვიდრე არ მიიღებენ დახმარებას ავიაციისა და შეიარაღების სახით...“ და იცით, ჩემო ცოლო და შვილო, ვინ აწერს ხელს ამ თხოვნას? ვინა და თვით უმაღლესი მთავარსარდალი იოსებ სტალინი!... გაიგეთ, ადამიანებო?! ა, გაიგეთ?!

— თვით სტალინი?! — განცვიფრდა კლავდია. — ღმერთმანი, პირველად გავიგონე ასეთი რამ!

— დიახ, დიახ! პირველად! სწორედ პირველად!.. საქმე ისაა, რომ იქ, ჩემო კარგებო, — ვანომ ცისკენ აიშვირა თითი, — იქ კარგად ესმით მდგომარეობის სირთულე და როცა უმაღლესი მთავარსარდალი კი არ მოითხოვს ჯარისკაცისაგან გმირობას, არამედ სთხოვს

მას, ამ თხოვნას ასკეცი წონა ენიჭება თვით უმკაცრეს ბრძანებასთან შედარებითაც კი... ჰოდა, აი, ნახავთ, რა ძალაც შეემატებათ ჩვენს ბიჭებს, აი, ნახავთ, რას ვიზამთ!

მამის მღელვარება ჟენიასაც გადაედო. კარგა ხანს ვერ დაიძინა. ძილში კი სიზმარი ნახა. სტალინმა მხარზე დაადო ხელი (მეორე ხელში ჩიბუხი ეჭირა), გაუღიმა და უთხრა: „აბა შენ იცი, იუნგა, შეინარჩუნე ოდესა! გთხოვ...“

და ოდესამ გასძლო, არა ექვსი ან შვიდი დღე, არამედ მთელი თვე. ეს იყო სასწაული. მაგრამ ეს სასწაული მოხდა.

30 სექტემბერს მთავარბანაკმა ოდესის თავდაცვითი რაიონის ევაკუაციის ბრძანება გასცა...

თოთხმეტ ოქტომბერს, ისევე, როგორც წინა დღეებში, სკა-065 სადარაჯო კატარლამ, რომლის ეკიპაჟშიც იუნგა ევგენი ტოპრაკაშვილი ირიცხებოდა, ნავმისადგომიდან ასობით ევაკუირებული გადაიყვანა საევაკუაციო გემებზე — „ჩერვონა უკრაინაზე“, თბომავალ „გრუზიასა“ და სხვა სომალდებზე.

ქალაქის გარშემო ცხარე ბრძოლები მიმდინარებდა, საზენიტო არტილერიას წამითაც არ ეძლეოდა სულის მოთქმის საშუალება, მაგრამ მტრის ავიაციამ იმ დღეს მაინც მოასერხა რამდენჯერმე გაჭრილიყო ნავსადგურისაკენ და დაებომბა იქ თავმოყრილი გემები. ბომბების უმრავლესობა ზღვაში ცვიოდა და მათი აფეთქების ადგილას უზარმაზარი შადრევნები აწყდებოდა ზეცას, მაგრამ ალაგ-ალაგ სომალდებზეც გაჩნდა ცეცხლის ენები. „იუნკერს-88“-ის მიერ ჩამოგდებული ერთი ბომბი თბომავალ „გრუზიას“ კიჩოზეც გასკდა სწორედ იმ მომენტში, როცა გემზე დაჭრილების ახალი ჯგუფი აპყავდათ. სკა-065 ამ დროს „კალინინისკენ“ მიემუ-

რებოდა და „გრუზიასაგან“ სულ ერთნახევარი კაბელტოვი თუ აშორებდა. ჟუნიათ თვალნათლივ დაინახა, როგორ მიჰყარ-მოჰყარა აფეთქების ტალღამ გემბანზე დაჭრილები და სანიტრები, ზოგიც პირდაპირ ზღვაში გადაისროლა. გაჩენილი ხანძარი, როგორც იქნა, ჩააქრეს.



„გრუზია“ ნავსადგურიდან საესკადრო ნაღმოსანმა „შა-
უმიანმა“ გაიყვანა ბუქსირით, მერე კი თბომავალი
საკუთარი სვლით გაემართა ნოვოროსიისკისაკენ.

ეს მოხდა დილის თერთმეტ საათზე. სკა-065-მა კი-
დევ ორჯერ გადასერა ყურე ნავმისადგომიდან რეიდა-
მდე, ხოლო როცა ნაპირს მესამედაც მიადგა, კატარ-
ლის მეთაური, ლეიტენანტი ბასოვი ვიღაც უცნობმა კა-
პიტანმა მიიხმო და ხმადაბლა უთხრა რამდენიმე სიტ-
ყვა.

კატარლაზე რომ დაბრუნდა, ბასოვს სახეზე კაცის
ფერი აღარ ედო.

— იუნგა!

ჟენია იქვე იყო, ორ ნაბიჯში. უხმეს თუ არა, წინ
წადგა და მეთაურს მხედრულად მიესალმა. რატომღაც
გულისცემა აუჩქარდა და ყურები აუწეულიდა.

— გაჰყევი კაპიტანს, დედა გიხმობს, რაღაცისთვის
სჭირდები, — უსიამოვნო, ჩახლეჩილი ხმით უბრძანა
ბასოვმა და საიდანღაც იქ გაჩენილ რამაზ ოდიკაძეს
მოღუშულმა გადახედა. — მოტორისტო! თქვენს საქმეს
მიხედეთ! მარში!..

ჟენია უცნობ კაპიტანს მიჰყვებოდა და ფეხები უკან
რჩებოდა. ამ დროს ნავსადგურის თავზე ისევ გამო-
ჩნდნენ გერმანული თვითმფრინავები, ისევ აყუფდნენ
საზენიტო ქვემეხები, მაგრამ ბიჭს თავი არ აუწევია.

ხოლო თავი რომ ასწია, დედის დიდრონი, საო-
ცრად ლურჯი და უცნაურად დაცარიელებული თვალე-
ბი დაინახა. კლავდია ფედოროვნა წელგამართული იჯ-
და, არაბუნებრივად წელგამართული და თავაწეული.
ხელები მუხლებზე დაეწყო და დუმდა.

მის წინ ძელსკამზე ესვენა მისი მეუღლე და ჟენიას
მამა, მე-2 რანგის კაპიტანი ივანე ტოპრაკაშვილი. იგი
იმ დილით „გრუზიაზე“ აფეთქებულმა ერთადერთმა
ბომბმა იმსხვერპლა. სხეულზე ლაბადა ეფარა. სახეზე
ნაცრისფერი ედო, საფეთქელზე სისხლი შენმოზოდა.

ჟენიას მუხლები მოეკვეთა.

— მამა... — მხოლოდ ამის თქმა შეძლო და ხმა ჩა-
უწყდა.


როცა ვანო ტოპრაკაშვილს კრძალავდნენ და მისმა
მეგობრებმა უკანასკნელი ზალპით მეომრული პატივი
სცეს მის ხსოვნას, ჟენია ტოპრაკაშვილს თავის სი-
ცოცხლეში პირველად წასკდა ცრემლები და გულამოს-
კნით აქვითინდა.

რამაზ ოდიკაძეს ლოდზე ოთხად გაკეცილი ბუმლა-
ტი გადაეფინა, ზედ მოკალათებულიყო, ახალგაზრდა
ფიჭვს ზურგით მიყრდნობოდა და თვალმოჭუტული
განცხრომით აბოლებდა სურნელოვან სოხუმურ თამ-
ბაქოს, რომლითაც ამ დილით ერთი კეთილი გელენჯი-
კელი მოხუცი გაუმასპინძლდა.

თებერვალი ილეო-
და, ჯერ ნამდვილ გა-
ზაფხულამდე კიდევ
იდო მანძილი, მაგრამ
ზამთარი უკვე წელში
იყო გატეხილი.

გელენჯიკის უბე მზის
სხივებით ავსებული-
ყო. წყალი ოდნავ
ფრთონავდა, — ზღვა-
ზე სუსტი ნორდ-ოს-
ტი* უბერავდა. უბეში
კი ისიც ძლივს იგრძ-
ნობოდა.

აშამფეს შესართავ-
თან, ცისფერ ყურეში,
წყალზე მშვიდად ადი-
ოდ-ჩადიოდა სკა-065.
გემბანზე მარტო ორი
მატროსი ჩანდა, მეო-
რე თანრიგის ზემდე-
გი, მეზენიტე გრიგოლ
კუროპიატნიკოვი და
იუნგა, დივიზიონის
შვილობილი ჟენია
ტოპრაკაშვილი — სა-
ზენიტო ტყვიამფრ-
ქვევს უკირკიტებდნენ. რა-
მაზმა ჩაიღიმა... დიდი ცნო-
ბისმოყვარე ბიჭია ეს ჟენია,
ყველგან და ყველაფერში
ცხვირს ჰყოფს, ყველაფერი
აინტერესებს, ყველაფერი
ნაწილებად უნდა დაშალოს
და ძირისძირობამდე ჩას-
დიოს. ამ დილით კატარდის
ძრავების დაზეთვაში მოეხ-
მარა რამაზსა და მის თანა-
შემწეს, გემბანი გაახეხინა
მორიგე მატროსებს, მერე
ბომბჩამყრელების გამართუ-
ლობა შეამოწმა (კატარლაზე
თქვენმეტი ცალი წყალქვე-
შა ნავსაწინალო მცირე ყა-
ლიბის სიღრმული ბოძი..



* ნორდ-ოსტი — ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარი.

ქონდათ), ახლა კი აგერ, გრიშასთან ერთად ფუსფუსებს. კარგი ვაჟკაცი ეზრდება ივანე ტოპრაკაშვილს. ეჰ, ვანო, ვანო!..

რამაზმა და ვანომ ერთმანეთი ფოთში გაიცნეს. თუმცა ვანო რვა თუ ათი წლით უფროსი იყო ოდიკაძეზე, ისინი მალე დაუახლოვდნენ ერთმანეთს. რამაზს ბავშვები უყვარდა (ორი გოგო უკვე „მამას“ ეძახდა, მესამე ახლა იდგამს ფეხს) და ჟენიას ისე „დაუძმაცადდა“, რომ ერთმანეთს „შენობით“ ელაზარაკებოდნენ.

ომში რამაზი მოხალისედ წავიდა და იწთავითვე სადარაჯო კატარლათა მეხუთე დივიზიონში მოხვდა, რომელიც ორმოცდაერთის ივლისში ოდესაში გადაისროლეს.

სწორედ რამაზი შეასახელა ჟენიამ, მამასთან მიშუამდგომლედ, შენთან გამამწესოსო. ოდიკაძემ ერთხანს იყოყმანა, ბოლოს ხელი ჩაიქნია და დახმარებას შეჰპირდა ბიჭს. თავისდა გასაოცრად, რამაზმა ვანო იოლად დაიყო. ოა ევგენი ტოპრაკაშვილი ოფიციალურად ჩარიცხეს სკა-065 სადარაჯო კატარლის იუნგად და მეხუთე დივიზიონის შვილობილად.

როცა სკა-065 ზღვაში სახიფათო დავალებით გადიოდა, ბასოვი ჟენიას რეზერვში ტოვებდა ხოლმე და ამიტომ ისე მოხდა, პირველი საბრძოლო ნათლობა იუნგამ მხოლოდ ორმოცდაორის იანვრის მიწურულში მიიღო. ნათლობაც მიიღო და ვაჟკაცობის გამოცდაც ჩააბარა.

რამაზს ახლაც ნათლად უდგას თვალწინ ის ნისლიანი დილა...

ტუაფსედან დილაუთენია გავიდნენ. ბადრაგად მიჰყვებოდნენ სატრანსპორტო გემს, რომელსაც სევასტოპოლში ტანკები და ტყვია-წამალი მიჰქონდა. სულ პირველი საესკადრო ნაღმოსანი „ბოიკი“ მიდიოდა, მისგან ექვსიოდე კაბელტოვის* ინტერვალით — სატრანსპორტო გემი, რომელსაც წინ მიუძღოდა და უკან მისდევდა თითო ტრალერი, ხოლო გვერდებზე, მარცხნივ და მარჯვნივ — ორ-ორი სადარაჯო კატარლა. გემები დაახლოებით თორმეტი კვანძის** სიჩქარით მიდიოდნენ, მაგრამ ზღვაზე ნისლი იწვა და ჟენიას ეგონა ქარივით მიჰქრითო.

ანაპასა და ფეოდოსიას მშვიდობიანად ჩაუარეს, მაგრამ სარიჩის კონცხთან მიახლოებისას ნისლი ძალზე შეთხელდა და კონცხის ტრავერზზე*** მზემაც გამოანათა, თუმცა ნაპირი, რომელიც სკა-065-ის მარჯვნივ იწვა, ჯერ კიდევ არ ჩანდა.

— ჰაერი! — გაისმა უცებ შეძახილი.

სკა-065-ის წინ მიმავალი მმ-04**** კატარლაზე საზენიტო ტყვიამფრქვევი აჭახჭახდა. მაშინვე ყველამ დაინახა ტორპედოსანი „ჰაინკელ-111“, რომელიც მიყუჩებული ძრავებით მოფრინავდა ასიოდე მეტრის სიმა-

ღლეზე. მმ-04-დან სკა-065 სულ რაღაც ორიოდე ბელტოვით თუ იყო დაცილებული და გრიშა კუროპიატნიკოვმა მაშინვე შემოაბრუნა თავისი საზენიტო ტყვიამფრქვევი.

— იუნგა, ლენტები! — შესძახა მჭახედ, თუმცა ჯარგად იცოდა, რომ ჟენიას შესენება არ სჭირდებოდა.

კუროპიატნიკოვის ტყვიამფრქვევს კატარლის შარცხნივ და ოდნავ უკან მომავალმა ტრალერმა „იაკორმაც“ აუბა მხარი. „ჰაინკელმა“ ტორპედო ჩამოაგდო და მკვეთრად აიჭრა ზევით. ტორპედომ ცხვირწინ ჩაუქროლა სკა-065-ს და „იაკორისაკენ“ გასრიალდა. ტრალერმა მკვეთრად მოუმატა სიჩქარეს და სულ რაღაც ოციოდე მეტრით გაასწრო სასიკვდილო ჭურვს.

ამასობაში დასავლეთიდან კიდევ სამ წყვილად დაწყობილი ექვსი „ჰაინკელი“ გამოჩნდა, რომელთაც ოთხი „მესერშიტი“ მოაცილებდა, ხოლო ხმელეთიდან გერმანელთა სანაპირო არტილერიამ გახსნა ცეცხლი. წუთში იქაურობა ჯოჯოხეთად გადაიქცა. ერთმანეთში აირია მოპიკირე თვითმფრინავების ღმუილი, საზენიტო ქვემეხების ჭეჭა, ტყვიამფრქვევების ჭახჭახი, ყუმბარების გრგვინვა, ტყვიების წივილი, აფეთქებისაგან ჰაერში ავარდნილი წყლის შხუილი. „ჰაინკელების“ პირველივე იერიშისას ბასოვი უხმოდ ჩაიკეცა კაპიტნის ბოგურაზე. მისმა თანაშემწემ, მთავარმა ზემდეგმა კოლია ერშოვმა მეთაურთან ჩაიჩოქა და გიმნასტურა გადაუდგა. ბასოვი მკვდარი იყო. ურშოვმა წამოდგომა ვერ მოასწრო, რომ მესაჭემ შტურვალს ხელი გაუშვა და მარჯვენა ფერდზე იდაყვიმჭერილი გემბანზე დაეცა. „მიხედე მაგას!“ — დაუყვირა მთავარმა ზემდეგმა გაფითრებულ რადისტს, ახალბედა მატროსს, და თვითონ შტურვალს ეცა.

ერთმა „ჰაინკელმა“ ზედ თავზე — კინალამ ანძას გამოედო! — კიჩოდან ცხვირის მიმართულებით გადაუქროლა სკა-065-ს და „ბოიკისაკენ“ გაეშურა. კატარლის კიჩოსთან ზედიზედ აფეთქდა ორი ბომბი, ერთი — მოშორებით, მეორე — სულ ახლოს. გრიშამ გრძელი ჯერი მიადგენა თვითმფრინავს და მაშინვე უკან შემოატრიალა თავისი საზენიტო ტყვიამფრქვევი — ორი ახალი „ჰაინკელი“ პიკეთი უახლოვდებოდა ბადრაგს.

— იუნგა, ავზი! — ისე დაიძახა კუროპიატნიკოვმა, რომ ცისთვის თვალი არ მოუშორებია. — სათადარიგო ავზი იწვის! მიხედე!

მართლაც, კიჩოზე მდგარი ორი ავზიდან ერთ-ერთს ცეცხლი ეკიდა. ჩანს, ნამსხვრევი მოხვედროდა, საწვავის წვრილი ჭავლი გემბანზე იღვრებოდა და ალის მუწამული ენა სიღრმული ბომბების ღარებს უახლოვდებოდა.

გაბრძელება ზემდეგ ნომარში

* კაბელტოვი — სივრცის საზღვაო ერთეული (185,2 მ).
** კვანძი — ხომალდის სიჩქარის ერთეული. 1 კვანძი — 1,85 კმ/სთ.

*** ტრავერზი — გემის კურსის პერპენდიკულარული მიმართულება.
**** მმ — მცირე მანძილზე წყალქვეშა ჩაფრენა.



მორე კორასკოლენათა ჟურნალი № 1

ქვირვასო რედაქციაში!

ნამდვილად საამაყოა, როცა შენს გვერდით მოწინავე პიონერია, მაგრამ არა ისეთი, როგორც თეა. თუ ამხანაგს არ დაეხმარები და ცოდნას არ გაუზიარებ, ასეთი ცოდნა რად გინდა! „ცოდნა ისეთი რამ არის, რაც გინდა ბევრი დაურიგო სხვას, შენ არაფერი დაგაკლდება, თუ არ მოგემატება“, — უთქვამს ბრძენ ადამიანს. ალბათ თეამაც იცის ეს ე.წ. მონათქვამი, მაგრამ არ გაახსენდა და მეგობარს არ დაეხმარა.

ნანა სარაჯიშვილი,
რუსთავი, მე-10 საშუალო
სკოლა, VI კლასი.

მორე მებრძვრეთა საქმეები

ჩვენი სკოლის შ. არაბიძის სახელობის პიონერული რაზმეულის პიონერები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სასურსათო პროგრამის განხორციელებაში. სწავლისაგან თავისუფალ დროს ისინი დაკავებული არიან სხვადასხვა შრომითი საქმეებით.

სკოლის ეზოში მოწყობილია მე-ბოცვრეობის ფერმა. ბოცვრებს პიონერები უვლიან, კარგ კვებას, სისუფთავეს არ აკლებენ მათ და შედეგად კარგი აქვთ. წელს სახელმწიფოს უკვე ჩაბარდა 500 კგ ხორცი. განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდნენ პიონერები ილია და კახა ლუტიძეები. ილიასა და კახას მათსავით შრომისმოყვარე გია საყვარელიძე ამოუდგა მხარში. ნორჩმა მე-ბოცვრეებმა საკმარის დაამზადეს უხეში საკვები ისე, რომ მთელი ზამთარი ბოცვრები უზ-

რუნველყოფილი იქნებიან საკვებით. სამომავლოდ კი განზრახული გვაქვს კიდევ უფრო განვავითაროთ მე-ბოცვრეობა და 1985 წლისათვის 2,5 ტონა ხორცი ჩავაბაროთ სახელმწიფოს.

ხალისით ეხმარებიან პიონერები ჩვენი რაიონის სხვა სკოლებს მე-ბოცვრეობის განვითარების საქმეში. მაგალითად, სკოლიდან ბოცვრები წაიყვანეს ჩვენი რაიონის დილიკოურის, მეორე სვირის, საზნოს მე-2 საშუალო სკოლებმა. მზადა ვართ ასეთივე დახმარება გავუწიოთ სხვა სკოლებსაც. 1982 წელს მე-ბოცვრეობის განვითარების საქმეში მოპოვებული წარმატებებისათვის ჩვენი სკოლა დაჯილდოვდა საკალკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით.

ლეილა ბაქბარაძე,
ზესტაფონის რაიონის ქვედა ხაზანოს 1-ლი საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი.

ნუ დაგვიშრავთ!

თეა სწორად არ მოიქცა. ზოგჯერ ხომ ხდება, რომ მოსწავლეს ახსნილი მასალიდან რაიმე გამორჩება. აი, სწორედ მაშინ სჭირდება მას მეგობრის დახმარება.

ჩვენს კლასში ფრიადოსანი გოგონა ხ. კლდიაშვილი სწავლობს, ძალზე გადატვირთულია, რადგან მუსიკაზეც დადის და ცეკვაზეც, მაგრამ ამხანაგისათვის ყოველთვის გამონახავს ხოლმე დროს. ერთხელ ერთმა თანაკლასელმა საკონტროლო წერის მომზადებაში დახმარება სთხოვა. გოგონას მუსიკის გაკვეთილზე ეჩქარებოდა, მაგრამ ამხანაგს უარი არ უთხრა, გულდაგულ აუხსნა, როგორ უნდა დაეწერა თემა. აი, ასე იქცევა ნამდვილი მეგობარი. ერთი სიტყვით, მოდი, მეგობრისათვის ცოდნას ნუ დავიშურებთ, ყოველთვის მხარში ვედგეთ ერთმანეთს.

ნინო მელაძე,
თბილისი, 26-ე საშუალო
სკოლა, VII კლასი.

მარშის ახალმა პროგრამამ გვიპარნახა

ჯერ კიდევ სასწავლო წლის დაწყების წინა დღეებში შეიკრიბა ჩვენი რაზმის პიონერული აქტივი სკოლაში. გამოვუშვით კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი, განვაახლოთ საორგანიზაციო კუთხე, ყვავილებით დავამშვენეთ ოლეგ კოშევიკის მემორიალური კუთხე. მოგვიანებით კი რაზმის სამუშაო გეგმაც შევადგინეთ, რომელიც საკავშირო მარშის ახალ პროგრამაში დასახული ამოცანების შესრულებას გულისხმობს. სწორედ მარშის ახალი პროგრამიდან გამომდინარე გადაწყვიტეთ მკვეთრად ავამაღლოთ აკადემიური მოსწრება რაზმში; მინიმუმამდე დავიყვანოთ არასაპატიო მიზეზით ვაკვეთილების გაცდენის შემთხვევები; განუზრვლად ვიბრძოლოთ დისციპლინის ასამაღლებლად; გავაგრძელოთ ოლეგ კოშევიკის ცხოვრებისა და გმირობის ამსახველი მასალების შესწავლა, კავშირი დავამყაროთ მისი მშობლიური სკოლის მეგუთეკლასელებთან; აქტიური მონაწილეობა მივიღოთ სკოლის სპორტულ და მხატვრულ წრეებში; კვლავაც გავუწიოთ შეფობა კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმას, სახბორეს ეზოში დავრგოთ და ვახაროთ 44 ძირი თუთის ზე; მონაწილეობა მივიღოთ საკავშირო და რესპუბლიკურ პიონერულ აქციებში; მოვაწყოთ ექსკურსიები მშობლიური მხარის შესასწავლად.

ჩვენი ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა — სიტყვა საქმედ ვაქციოთ და დასახული უთუოდ განვახორციელოთ.

სოფიან კოზარიაძე,
გულაუთა, ორჯონიკიძის საშუალო სკოლა, V კლასი.

მეგობრები

ზაფხულის ცხელი დღე მიილია, მოსალამოვდა... აქ გულდაამძიმებელი მოვედი, ახლა კი ვდგავარ მშვიდი

ზღვის ნაპირას და მისი სილამაზით მონუსხულს ამ ადგილიდან წასვლა აღარ მინდა... თავს უკვე მარტო აღარ ვგრძნობ, ჩემი მეგობარი ახლა ზღვაა, მაგრამ მარტო ზღვა კი არა — მზეც. მნათობი გულში ეხუტება ზღვას. მისი სხივები ნარინჯისფრად ეღვარებენ.

„მზე სიცოცხლეა“, — ვფიქრობ მე.

ოცნებაში ჩავიძირე. ანაზღად ჩამომიქროლა ნიავემა და ამიფრიალა კაბა. თან ყურში ჩამჩურჩულა: „შენ ახლა ორი მეგობარი შეგემატა — ლურჯი ზღვა და ოქროსფერი მზე. არ შეიძლება, მეც ვიმეგობრო თქვენთან?“ გამეცინა და გულზე მომეშვა.

დოდო დონაძე,
მახარაძე, ლიხაურის საშუალო სკოლა, VII კლასი.

ზ ა მ თ ა რ ი

სარკმელს ფიფქი მოაფრინდა,
თოვდა, თოვდა, უხვად თოვდა,
მხიარული თეთრი თოვლი
ყველას გარეთ მიგვიხმოხდა.

ცივას ხელი წამოვავლე,
გავიყოლე თანაც და-ძმა,
შემოვისვი ორნივე ერთად
და დავეშვით თავქვე, დაღმა.

ია აფთარიშვილი,
გურჯაანის რაიონი, კოლაგის საშუალო სკოლა, III კლასი.

მ ა მ ა

მამა მრისხანა,
როგორც ელვა-ჭეჭა,
და კეთილი ისე,
როგორც დედის გული.
მამამ ყველაფერი
თავის დროზე იცის:
სითბო, მოფერება,
რისხვა, სიყვარული.

მამა ყველას უყვარს,
მე კი — სხვაზე მეტად:
მან ხომ ყველაფერი
ჩემთვის გაიმეტა.

მაია აღვიშვილი,
თბილისი, 71-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი.


ზ ა მ თ რ ი ს პ ი რ ი

მიიღია შემოდგომა,
მოახლოვდა ზამთარი,
პაპას ქვევრში მხიარულად
აჩუხჩუხდა მაჭარი.

იკრიფება დასაკრეფი,
ბინავდება ყურძენი,
ფრინველებმა მიგვატოვეს,
მადლა რაღას უმზერი?

დალი შიშილაშვილი,
მცხეთის რაიონი, დიდშის საშუალო სკოლა, VII კლასი.

ზ ა მ თ ა რ ი.
პაპა მუმლაძე, 14 წლის.



წონა რკინის დნობა, ფოლადის ჩამოსხმა, მიღების გლინვა... უთუოდ მეტალურგი გავხდები“ (დავით ნამგალაძე, V კლ.).

„მეტალურგია ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და თავდაცვითი ძლიერების ერთ-ერთი საფუძველია... ჩვენი ვალია, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მივიღოთ ესტაფეტა უფროსებისაგან და ღირსეულად განვაგრძოთ ქართველ მეტალურგთა სასახელო საქმიანობა“ (ნინო კანჭურიშვილი, VII კლ.).

სრული ჭეშმარიტებაა ნინოს ნათქვამი!

მ ა მ ა მ, ა ა გ რ ა მ ს ა ა ა ტ ი ო ...

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ადმინისტრაციული შენობის ვესტიბულში მთელი კედელი მარტივ, მაგრამ მეტყველ სქემას უჭირავს: აქაური პროდუქცია თურმე იგზავნება ჩეხოსლოვაკიასა და პოლონეთში, ბულგარეთსა და რუმინეთში, ვიეტნამსა და კორეაში, ალჟირსა და მონღოლეთში, კუბასა და გვინეაში, ავღანეთში, სირიაში, ირანში...

ხომ საამაყოა, დედამიწის თითქმის ყოველ კუთხეს მისწვდეს შენი ჩამოსხმული ფოლადი!

ხომ საამაყოა, როცა შენი ჩამოსხმული ფოლადისაგან გაკეთებული ტრაქტორი თუ კომბაინი, ელმავალი თუ ავტომანქანა, საოკეანო გემი თუ კოსმოსური ზომადი ათასგვარ სასიკეთო სამსახურს უწევს მშობლიურ ხალხსა და ქვეყანას!

ხომ საამაყო და სასახელოა, ამრავლო და ზარდო შენი სახელოვანი წინაპრების, კაცობრიობის გარიჟრაჟისდროინდელ მეტალურგთა — ხალიბებისა და თუბალების სახელოვანი ტრადიციები!

ყველაფერი ეს უნდა გახსოვდეს და გეამაყებოდეს, როცა შენი ცხოვრების მთავარ გზას დაადგები — მეტალურგიული ქარხნისაკენ მიმავალ გზას!

3. ფლორინსკის ფოტო

ღ ი ლ ა რ ი ვ ა რ ღ ა ვ ა

ს ა მ ი უ ბ რ ი ს ი ს ა მ ი პ ო რ ტ რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს

„აბა, ჭიმა, რია,
ლეკურიში რქია,
დობგორათი სამართალი,
უფლება დო თია!“
უტუს ლაჟარულიდან*

1. უტუ მიქავა

რუსეთის იმპერიას მოედო
მენგრელიის რია, რია, ლელვა:
ადექ, იმღერეო, პოეტო,
სიმართლეს ლექსი უნდა მძევლად!
ათი ათასამდე არისო
უტუ მიქავას ჯარი,
ხევ-ხუვები ურდუმით გაივსო,
დაჩაგრულებს სწერიათო ჯვარი.
კოლუბაკინს შემოურტყამს ალყა,
სიტყვა უთქვამს დედოფლის დამცველი;
გენერლის სიტყვას უტუ არ აჰყვა,
მას თავისი ჰქონია სათქმელი:
ოსმალეთში ჩვენს ბავშვებს ჰყიდიანო,
ურჯულოებზე ავად იქცევიანო,
ამ ბატონებს ფეხებზე ჰყიდიათო
ივერიაც, ხალხიც და იმპერიაცო;
არ არსებობს კანონი და სამართალი,
კანონები უარყვეს და
ძალად გვთვლიან,
სამშობლო თავიანთ თავს ანაცვალეს,
ეს, ალბათ, ბატონების ადათია!
ჩვენ არა ვართ
ქურდები, ყურსალები,
ოჯახი გვაქვს და
მოვითხოვთ კანონს,
ეს ხუნდები,
ეს ჯაჭვები,
ეს ვალები
სანამდისინ ვითმინით და ვთვალოთ?!

გენერალო,
სიმართლისთვის ვიბრძვით,
შეგიძლია? —

* აბა, ძმაო, აჯანყება, აღმართოთ ხმალი, მოვებნოთ
(ჩვენი) წილი უფლება და სამართალი!

დაგვეხმარე რამე:
შრომა გვინდა,
საქმე გვინდა — ღვიძლი,
მხეცობისგან ხალხი დაიფარე!
...იდგა უტუ ბელადი და სარდალი,
როგორც გმირი ასპინძის თუ მარაბდის, —
იქვე ედგა გვერდით
კოჩაც, მართალიც
და სიმართლეს —
ფერუცვლელი მარადის!

2. კონა თოდუა

წარმოსადგეი, მკვრივი, ტანადი,
თანამოძმეთა მწე და მშველელი...
ხმა ჰქონდა —
თითქოს ჟღერდა ზარადი...
იმ ბორჯში ერთობ გაურკვეველი
ჩანდა სავალი,
მაგრამ ითავა —
თავად ეპოვა გზა-სამართალი,
მართალ თოდუას, უტუ მიქავას
მხარს ამოუდგა ძმა და სარდალი.
იყო მკაცრი და... მათი ბერაყი
აჯანყებულთა ხელში ელავდა,
ის ძალით როდი გახდა ბელადი,
გულით იწამა ხალხმა ბელადად.
ჩავლილი გზები, თითქოს ზარია,
სიმართლისათვის ენთოს სანთელი,
საჭილაოდან სწუხს კორზაია,
აზნაურს რაღა რჩება სათქმელი.
ხოლო ყმა მისი —
კაცური კონა,
წლები წარვლიან —
წლებს არ გაჰყვება,
გმირი ამგვარი ხალხს, როგორც დროშა
და რწმენის ფესვი — ეამაყება!

3. ბართალი თოდუა

თავად სახელში ჟრიალებს ფუძე
სიმართლისა და სიბრძნის ღირსებად,
მართალს ძარღვებად ფოლადი უძევს,
რომელსაც მნათი ჰქვია ისედაც!
სალხინოსა და კიწიას კიდეს
აღმართეს დროშა —
წითელი „შილა“,
ავლიჯა ხალხმა მონობის რიდე,
შეერთდა ძალად,
კი არ დაშლილა!
დაემსხვრა ღუმელს ყველა ურდული,
აწ ბატონს რისხვას ვინ აპატიებს!

აღსდგა ლაშქარი —
 ყმათა ურდუმი —
 და მოეფინა სალიბარტიოს!
 მათ შორის მუხად იდგა მართალი,
 ადრე — გლეხი და
 ჯამ-ჭურჭლის მთლელი,
 დღეს — წინამძღოლი,
 ყმათა სარდალი,
 პატიოსანი,
 ბრძენი და ქველი.
 ის გვერდით ედგა უტუს და კოჩას,
 მათი მეზობელი და ტყუპის ცალი...
 იმ ჩავლილ დღეთა ჯაგვიდან მოსჩანს,
 რომ გარდინადეს საქვეყნო ვალი!

უტუს ლაშქრული

აბა, ძმებო, აჯანყება!
 ხომ არ უნდა მოვკვდე ყმებად!
 გარდვისახოთ აწ პირჯვარი,
 მეტი აღარ შეგვიძლია,
 ხედავთ — ფეხზე ადგა ჯვარი,
 ჯგაბლი,
 წალენჯიხა,
 ღია!*
 აბა, ძმებო, აჯანყება,
 ხომ არ უნდა მოვკვდე ყმებად!
 დღეს ბრძოლაა ჩვენი ვალი,
 ავეყვით დილით მამლის ყივილს,
 ზეადემართით მჭრელი ხმალი,
 ხმლით მოვძებნოთ ჩვენი წილი
 უფლება და სამართალი!
 აბა, ძმებო, აჯანყება,
 ხომ არ უნდა მოვკვდე ყმებად!

* სოფლებია სამეგრელოში.

გამოიბით ასი თვალი,
 შევეფიცოთ ერთურთს ძმებად,
 მეზატონეს — ბრაწი აწი,
 ჩვენ კი — ჩვენი ნაოფლარი!
 აბა, ძმებო, აჯანყება!
 ხომ არ უნდა მოვკვდე ყმებად!
 ფიცს მარადის ვეგულწრფელოთ,
 გავყვეთ ბრძოლის ჟინს და ხალისს,
 ჩვენი გატანილი ლელო
 იყოს სვალის მზე და თვალი.
 აბა, ძმებო, აჯანყება,
 ხომ არ უნდა მოვკვდე ყმებად!
 ჯარს მიუძღვის ჩვენი უტუ —
 დევგმირი და სასახელო
 და სიმღერა, დღემდე უტყვი,
 მიმოფანტოთ საქართველოს!
 აბა, ძმებო, აჯანყება,
 ხომ არ უნდა მოვკვდე ყმებად!
 აბა, ძმებო, აჯანყება!
 ჯარი — მარტივლს, ანაკლიას!
 სხვანაირად არ იქნება —
 დამცირება არ გვაკლია!
 მაღლა ხმლები,
 ნიშანს — ტყვია,
 ყველა ჩაგრულს ჩვენთან ხმობა!
 მხოლოდ ასე შეგვიძლია
 დავამსხვრიოთ ბატონყმობა!
 აბა, ძმებო, აჯანყება,
 არ მოვკვდებით, არა, ყმებად!

1857 წელს სამეგრელოში ბატონყმობის წინააღმდეგ ორ-
 განიზებულმა აჯანყებამ იფეთქა, რომელშიაც 10.000 ლა-
 ტაკი გლეხი მონაწილეობდა. აჯანყებას ხელმძღვანელობდა
 ჯვარელი მჭედელი უტუ მიქავა. მისი მამაცი თანამებრძოლე-
 ბი იყვნენ კოჩა და მართალი თოდუები...

...მიუხედავად მედგარი წინააღმდეგობისა, აჯანყება სის-
 ხლის მორევში ჩაახშეს.





მამამანან

თენგიზ ჩალაუკი
მხატვარი დ. ზარაფიშვილი

მოთხრობა

ბაყბაყ დევის დამამარცხებელ მზეჭაბუკივით ამაყად გაჯგიმული მოაბიჯებდა, თავადერილი და სარგადაყლაპულივით წელგამართული, ფეხებს მუხლებში არც ხრიდა, გაჩაჩხული მოჰქონდა. ირგვლივ სოფლის წვრილფეხობა ეხვია, გარს ურბენდნენ, ყაყანებდნენ და ბიჭობას უქებდნენ.

— გლეჯო, შე ძველო, სად მოჰქალი? — ეკითხებოდა ერთი და ბექებზე ხელებს უთათუნებდა.

— პირდაპირ ყანყრატოში მოუხვედრებია! — ჰკვირობდა მეორე.

— ქვევიდან რა პატარა ჩანს და რამხელა ყოფილა, კაცო?! — აღტაცებას ვერ ფარავდა მესამე.

გლეჯიანთ ნაბოლარა კი პასუხის ღირსადაც არავის თვლიდა, თიკნებში გარეული ვაცივით ღინჯად ირჯებოდა, თითქოს ვერც ამჩნევდა აჟივკივებულ ბიჭბუჭობას. მარჯვენა მხარზე ცალსულიანი თოფი ეკიდა, ფერღზე მიბჯენილ მარცხენაში კი მონადირეობის ფრინველის გრძელი და წვრილი კანკები ჩაებლუჯა, თავად ფრინველი ხურჩინივით ბექს იქით გადაეგდო, ფრთებიც ერთიმეორეზე გაეკრა.

რომ სიარულის დროს ხელი არ შეშლოდა.

ეგრე ამოიარეს ორლობე, გნიასით, ხორხოცით, ყიყინით, ჰერჩამოქეუულ ეკლესიას გამოსცდნენ და თავქვე დაეშენენ.

— რაღაცა ამბავია... — შეშფოთებით ჩაიბუტბუტა ნიკალამ, შედგა, მიაყურადა, შემდეგ შაბიამნის კასრი იქვე ზვრებშუა მიაგდო და ვენახის თავში მყოფ შვილიშვილს გასძახა: — ბიჭო, შე ყურუშსალო, არ გესმის თუ დაყრუვდი, რაღაცა ამბავია-მეთქი!

დაძახებისთანავე ნიკა შლიგინით გამოიქცა, რუს გადმოახტა, მოსველებულზე ფეხი დაუცდა, იმარჯვა, მიწას ხელისგული დააბჯინა და ვენახის ბოლომდის თხილამურებზე შემდგარივით სრიალით დაეშვა. ბებერ ჰანჭურთან წამოეწია პაპას, მხარი მისცა და ნაბიჯიც აუწყო. ეგრე მიადგნენ ორთავენი დაბალ ყორეს, ზედ გადაეყუნდნენ და რიარით ჩამომავალთ დაელოდნენ.

ნიკალამ ხელის ნები შუბლზე კარტუზივით ჩამოიღო, მზე თვალეში სცემდა და ისედაც დაბეცებული ველარაფერს არჩევდა, ჩრდილებადლა ლანდავდა მორიალე ბავშვებს.

— რა მოაქვთ? — გუმანით მი-

ხვედრილმა იკითხა.

— ფრინველი მოუქლაგე, ნიკალამ, — გრძელფეხება.

— ვისა?

— გლეჯიანთ დოყლაპიას.

ნიკალამ უმაყოფილოდ გაიქნია თავი.

— ეგ კარგს არაფერს მოკლავდა, — თქვა. — ან ყანჩა იქნება, ან წე-რო. რა ფერია?

— თეთრი, — ამცნო ნიკამ.

— ფეხები?

— წითელი.

— უხ, მაგისი გამჩენ-გამზრდელი! — იწყინა ნიკალამ და ყორეს მუშტი დასცხო. — წერო მოუქლავს ოხრიშვილს.

ნიკამ ვენახში აბრუნება დააპირა, მაგრამ პაპამ შეაჩერა.

— დაიცა, — უთხრა, — ახლოს მოვიდნენ.

როგორც იქნა, ჩამოილაღნენ, არ ჩქარობდნენ, ბერიკებივით ზარზემითა და ბუქნა-ბუქნით მოდიოდნენ, თითქოს ქვეყნის დამქცევი, გათოკილი ყეენი მოჰყავდათ.

— უხეიროვ! — როდესაც გაუსწორდნენ, მერეღა გასძახა ნიკალა პაპამ. — რა გინადირია?

გლეჯიანთ ნაბოლარამ პასუხი არ გასცა, ცოტა ხანს უცქირა, მერე ტანაჯორასავით შემოუტრიალდა და ზურგზე გადადებულ ფრინველი დაანახვა. წეროს ისედაც გრძელი კისერი კიდევ მეტად გაწვრილებოდა, ყელი გარდიგარდმო ჰქონდა გაგლეჯილი, ნისკარტიდან წვეთ-წვეთად სდიოდა ბროწეულისფერი სისხლი და მონადირეს ჩექმის ყელზე ეცემოდა.

— ახლოვ მოდი! — ბრძანებით უთხრა ნიკალამ, თითქმის ღინჯად და აულელვებლად.

გლეჯია ხმაგაკმენდილ წვრილფეხობას გამოეყო, უნიათოდ გამოემართა, ახლოს მისვლა ვერ გაბედა, შორიახლო გაჩერდა. არ უყვარდა ნიკალა პაპა, ზურგსუკან ყიამყარალსა და ღრძოს ეძახდა.

— ღიდხანს უღარაჯე? — ჰკითხა იმან.

— ორი ღლეა კვალში ვუდგევარ, — გაიფხორა ბიჭი, იფიქრა, ნამოქ-

მედარს მიქებსო. — აგერ, იქ დავლანდე გუშინწინ, — სერზე მიუთითა. — ვდიე, ვდიე და ბერძენაანთ ტყისპირზე ჩამოვაფართხალე.

— განაპირა ხეზე იჯდა? — დაინტერესდა ნიკალა, თან ყველასაგან ფართულად მარჯვენა ხელი ყორეს ჩააყოლა და თითების ცეცებით ნაშალს დაუწყყო ძებნა.

გლეჯიანთ ნაბოლარამ თვალეები დააჭყიტა.

— ჰო, განაპირაზე, — დაეთანხმა. — შენ საიდან იცი?

— ვიცი, — წყნარად მიუგო ნიკალა პაპამ. — ისიც ვიცი, დამჯდარს რომ ესროლე, ალბათ დაგინახა კიდევც, მაგრამ არ აფრინდა.

გლეჯიამ პირი დააფრინა.

— ეგ საიდანა დაინახე, იქ იყავი?!

ნიკალამ ამაზე პასუხი არ გასცა.

— ერთი ეს მითხარი, — დაეკითხა. — მამალი არსად დაგილანდავს?

— რა მამალი? — გაიოცა გლეჯიამ.

— მაგისი მეწყვილე, მეორე წერო.

ბიჭმა მხრები აიჩეჩა, მერე თავიც გაიქნია და „ნწუ“ დააყოლა.

— ისე ჩანს, ისიც შენნაირი გაოხრებულის კერძი გამხდარა, — ჩაიბურტყუნა ნიკალა პაპამ და ამასობაში ნაშალსაც მიაგნო, კარგა მოზრდილი ქვა გამოაძრო და მუჭში მოიქცია.

— არ გამძიმებს? — მერედა ჰკითხა.

პატარა გლეჯიამ ზურგსუკან მდგომებს გაჰხედა, „რას მეუბნებაო“.

— ესა, ეს როგორ?... — ჩაიქირქილა და ნანადირევი ბეჭით შეახტუნა.

ნიკალა პაპამ ცოტა ხანს ადროვა.

— ეხლა შეიძლება არ გამძიმებდეს, მაგრამ ჩემი დაიმასხოვრე, დრო მოვა და ბეჭს ჩამოგტყხავს.

— ჰიუ... — გაეცინა იმას. — ამნაირს ხომ ათსაც ავიკიდებ!

— ყოჩაღ, — თავის ქნევით შეაქო ნიკალამ და ბიჭს თვალი თვალში გაუყარა. — უნდა შეწვა თუ უნდა მოხარუო?

გლეჯიანთ უმცროსმა გუმანით რალაც ხიფათი იგრძნო, ნაბიჯ-ნაბიჯ დაიწყო უკან დახევა. „ფიტული უნდა გავაკეთებინო მამაჩემსო“, — ბლუქუნით ამოდერდა და იმავე წამს ზურგიც უჩვენა, მაგრამ ნიკალა პაპამ მაინც დაასწრო, უკვე გაქცეულს რბილზე მიაწია დაკბილული ქვა, ზედ კუდუსუნის ძვალთან.

— ფიტულები შენა და მამაშენი ხართ, უჯიგროები, უგულოები და სისხლგამოცლილები! — ქვას გაადევნა სიტყვა. — ეგრე გადაეცი იმ... ბოსტნის საფრთხოებელას, ძაღლისაგან ბატკანი არ იბადება-თქო!

გამწარებული გლეჯია ბუზანკალ-შემჯდარი ჯორივით ტლინკების ყრით გარბოდა, გუნებაში ილანძლებოდა და შარვალში ხელჩაყოფილი ნატკენ ადგილს გამალებით ისრესდა.

ნიკალა პაპა გაავებული ბრდღვი-ნავდა და ქშინავდა.

— ეგეთი ჯილაგის სინსილა უნდა გაწყდეს, — სოფლის მხარეს იქნევდა მომუშტულ მარჯვენას. — მამამისმა შაშვი და კოდალა აღარ გააჭაჭანა, ბიძამისი ეკლესიის მტრედებს ხოცავდა ჩუმ-ჩუმად და ხახვში შუშავდა. დათვმა რომ პირუტყვი დაგვიგლიჯა, ახლადფეხად-გმული ბალებიც გამოგვეყენე ტყეში, ეგენი კი* სახლიდან ვერ გამოვიდნენ... ეხლა ამ ბეყეირათ-მა დაიწყო წეროებზე ნადირობა, მალე ბულბულის ფიტულიც მოუნდება და იმასაც ესვრის, თუ სადმე მოიხელთა.

პაპა რომ როგორმე დაეოკებინა, ნიკამ სიტყვა ბანზე აუგდო.

— დამჯდარს თუ ესროლა, როგორ მიხვდი? — ჰკითხა. — ანდა რა იცი, რომ მამალი წეროც მოკლეს?

ნიკალამ ამოიქშინა, ხილაბანდივით ჭრელი ცხვირსახოცი თუბლზე და კისერზე მომსკდარი ხვითქი შეიშრო და მერედა გამოხედა.

— ბუდუზე იჯდა და იმიტომ არ აფრინდა, ბარტყებს გადაეფარა და დამალა... მამალი რომ ცოცხალი იყოს, მაშინ კიდევ არა უშავდათ,

ეგენი ადამიანებივით წყვილად თანხმობით ზრდიან მონაგარს, მაგრამ ისიც ვილაცის წერა გამხდარა, თორემ ეს წიწილაპარია ლეკვი აუცილებლად შეამჩნევდა.

— ეხლა რალა ეშველებათ? — თავისთვის ჩაილაპარაკა ნიკამ და მკლავებზე ბუსუსებმა დააყარა.

ნიკალა პაპამ ხელი ჩაიქნია.

— აღარაფერი, — ბოლმიანად თქვა. — მშიერ-მწყურვალნი დაიხოცებიან.

ნიკამ ტალახიანი ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და თავი ჩაქინდრა, დიდი საფიქრალის დროს ეგრე იცოდა გარინდება.

— ხომ თქვა, ბერძენაანთ ტყისპირზეო? — გაიხსენა ცოტა ხნის შემდეგ.

— მართალი ხარ, ეგრე თქვა.

— განაპირა ხეზეო?!

— განაპირაზე და კენწეროწამტვრეულზე, — აუხსნა პაპამ, მერე ჩანაფიქრს მიუხვდა და წასახალისებლად თვალიც ჩაუკრა. — მაგნაირზე იციან. შორიდანვე შეამჩნევს მაგხელა ბუდეს არც ერთი არ იკეთებს, ურმის თვალივით იქნება ზემოდან ჩამოდგმული.

ნიკამ სიყვარულით გაუღიმა და როცა უფროსმა თანხმობით თავი დაუკრა, ყორეს ისე გადაეველო, ხელიც არ დაუშველებია.



— მაშ სისხლმოწამლული ოხრიშვილები ხართო? — ეკითხებოდა დიდი გლეჯია პატარა გლეჯიას.

— ოხრიშვილები და ღორისშვილებიო! — ცეცხლს უღვივებდა ის.

— ერო დღესა ხართ გასაწყვეტებიო?

— გასაყლეტი და გასაყუყავიო!

— ქვაც მოგარტყა?

პატარა გლეჯიამ უადგილო ადგილზე მიიღო ხელისგული და დიკარუსუნა.

— მომარტყა კი არა, კინაღამ მომკლა, აი ამხელა ლოდინი დამცხო, — გოდრის ყელივით მოიმრგვალა მკლავები.

აქამდე უთქმელად მდგომი და დონჯემოყრილი დიასახლისი უცრად გაწიწმატდა.

— ადამიანო, სანამდის დიდბატარიანად არ ამოგვზოცავენ, კინტი არ უნდა დაძრა? — შეუტია ქმარს. — გადაუვარდი და ერთი შენებურად დააწიოკე. გლეჯო ტყუილად გქვია?!

ოჯახის უფროსმა თვალმოწყურვით აპხედა, „ერთი შენცაო“, — ჩაიბურტყუნა და მძიმე სიტყვაც დააყოლა.

ფართო აივნის შუაგულში იჯდა, უხურგო სკამზე, მუხლებზე გამოშინებული წერო ესვენა და ნახერხით ტენიდა, ხელები იდაყვებამდე სისხლით ჰქონდა მოსვრილი.

— შენა, ენის რატრატს ის გირჩენია, ღილები მიპოვნო, — უთხრა. — აი, ამფერი, თვალების სანაცვლოდ რომ ჩავუდგა, — თქვა და მომჩვარულ ფრინველს ნახევრადმილულული ქუთუთოები გადაუწია.

დიასახლისი ისე გაგულისდა, ფეხებიც კი დაუბაკუნა.

— ჯერ ეს მითხარი, ააწიოკებ თუ არა?

წელზევით ტიტველი და მურა დათვივით გაბანჯგვლული დიდი გლეჯია დამდურღულივით წამოვარდა, წერო იატაკს დაანარცხა და გაფარჩხული, სისხლიანი ხელები ქალს თვალებთან მიუტანა.

— რა სამგლე გოჭივით ატყდი, დედაკაცო! — გააგებულმა უყვირა. — მე რომ იმ ყიამყრალს მივუვარდე და რამე ვუთხრა, საღამოთი მაგის შერეკილებს რა პასუხი გავცე, არ იცი იმათი თავქარიანობის ამბავი?.. ჯერ დედაბუდიანად გადაგვხნავენ, მერე გადაგვბარავენ და იქნებ გაუფრთხილებივართ კიდევ!

— მაშ, არაფერს უპირებ! — დამცინავი, ცალყბა ღიმილით დაეკითხა ცოლი. — ბიჭის დაჩაგვრა უნდა შეარჩინო?

— მე ვიცი მაგათი... — დაქადნებით დაიბურტყუნა დიდმა გლეჯიამ, წერო კვლავ მუხლებზე გადაისვენა და ხელმეორედ დაუწყონახერხით ამოგება.

— მაინც?.. მაინც? — დაინტერესდა ქალი.

ნაშიერიც მოუთმენლად შეაკეპრდა მამას.

— აი აქა, ამ ადგილზე, — კედელს თითი მიაბჯინა დიდმა გლეჯიამ, — სწორედ მაგათი ფანჯრების პირდაპირ, ამ წეროს, ფრთებგაშლილს რომ მივაჭედებ, ეგ იქნება ჩემგან ოხტში ამოსვლა, მაგით გავასიებ გულზე, მერე მოდგენ და ისროლონ ქვები.

ამ გადაწყვეტილებით ოჯახის უფროსმა ცოლიც დააწყნარა, თავდაცდამშვიდდა და პატარა გლეჯია ხომ გაახარა და გაალაღა.

ახლად დაბინდებულზე ნიკამ უბეში სათუთად ჩასმული ორი პატარა, ინდაურის ჭუკებივით მახინჯი ფრთოსანი მოყვანა.

— მესამე საღდა? — ჰკითხა ყოვლისმცოდნე ნიკალა პაპამ.

ბიჭმა ტუჩი მოიკენიბა.

— ვეღარ მივუსწარი, — უთხრა, — ბუდიდან გადმოვარდნილი დამხვდა, სული აღარ ედგა.

პაპამ ქეჩოზე გადაუსვა ხელისგული.

— რა ვქნათ, შვილოსა, — დაამშვიდა. — შენ ხომ ბრალი არაფერში მიგიძღვის, ამათ მაინც მიგხედოთ. კალათში ჩასხი, ჯვალოც გადააფარე და წვეთწვეთობით დააღვინე წყალი.

— საჭმელი რა მივცე? — დღეს როგორმე გვატარებენ ჩვენი საკვებით არა ვაგნოთ რა, ხვალოდან ჭია-ლუა და მწერი არ მოაკლო, არც ბაყაყის ხაშლამაზე გეტყვიან უარს.

ნიკამ გაიცინა. — იოლი საქმეა, — უთხრა. — მაგრამ როცა დაიზრდებიან?

— ჯერ გამოვზარდოთ და შემდგომზე მერე ვილაპარაკოთ.

დიდმა გლეჯიამ დანაქადნები იმ დამესვე შეასრულა. დედა წერო აივნის კედელს მეზობლებისათვის თვალსაჩინო ადგილზე მიაჭედა. პირველი ლურსმანი კისერში ჩასცხო, მერე ფრთები გაუშალა და სათითოდ დაუმაგრა, ბოლოს კანჭებიც დაუჭიმა, უფრო დიდი რომ გამოჩინილიყო, ტერფის აპკებში გულდაგულ ჩაუკაკუნა.

დედა წერო თითქოს გაცოცხლდა, მთელი თავისი სიმშვენიერით გამოჩნდა, შორიდან რომ კაცს შეეხედა, ასე იფიქრებდა, ეს-ესაა ახლა აფრენილა, სადაცაა ჰერს აარღვევს და ლაჟვარდს შეერწყმისო.

უფროსი გლეჯია აღტაცებით შესცქეროდა თავის ნახელავს, „ოქროს მარჯვენა მაქვსო“, ფიქრობდა



და აივანზე მამლების ჩემპიონები-
ვით გულგამოფუყული დააბიჯებ-
და, მაგრამ ერთით ვერ გაიხარა
ვერც იმან და ვერც მისმა ოჯახმა:
არც ნიკალა პაპას და არც იმის ჯა-
ლაბობას ერთხელაც არ გამოქცე-
ვია მზერა კედელზე მიკრული წე-
როს მხარეს.

ორი კვირის თავზე, დილაუთენია,
ნიკამ სახლიდან ბალახბულახით მო-
ფენილი ხახალი გამოიტანა და ის
იყო, ბალის ბოლოში დააპირა წას-
ვლა, რომ ნიკალა პაპამ შეაჩერა.

— საკვამურზე დაუდგი, შვილო,
— ურჩია, — ბუხრის თავზე, უფ-
რო მყარადაც იქნებიან და შენც
მიხედვა გაგიადვილდება.

— მერე ისინი? — მეზობლების
მხარეს მიანიშნა ბიჭმა.

— ახლა მაგათ უტყვირონ... —
მრავლისმთქმელად უთხრა პაპამ. —
ვნახოთ, ვისი აჯობებს.

ნიკამ სახლს კიბე მიაყუდა, მოუ-
ხერხებლად აბობლდა ზედ, ხახალი
საკვამურზე ჩამოდგა. ქარს რომ არ
გაღმოეგდო, თოკით საგულდაგულ-
ოდ მიამაგრა, შემდეგ სათითაოდ
გამოიყვანა ახლადშეღინღლული წე-
როები და ბუდეში ჩასხა.

მოგვიანებით, საკვები და წყალი
რომ აუტანა, ახლად გაღვიძებულ-
მა პატარა გლეჯიამ აივნიდან ბატო-
ნიშვილივით გადასძახა:

— ბიჭო, წესით და რიგით ეგ ბა-
რტყები მე მეკუთვინის!

— ვითომ რათაო? — მოუხედავ-
ად დაეკითხა ნიკა. — შენ გამოჩე-
კე?

— იმათა, რომ ბუდესაც პირვე-
ლად მე მივაგენი და დედამაგათიც
მე მოვკალი, — დაიქაღნა იმან.

— თქვენს სახლს რომ ვინმემ
მოაგნოს და დედ-მამაც დაგიხოც-
ოს, შენც იმისი საკუთრება გახდე-
ბი?

ასეთ მწარე ნათქვამზე გლეჯიამ
ველარაფერი უპასუხა, კეფა მოიქე-
ჭა და, ცოტა არ იყოს, შეცბუნე-
ბული შებრუნდა სახლში.

იმ დღიდან გლეჯიანთ ოჯახმა
მოსვენება დაკარგა, ის ორი პატარა
მახინჯი იმათ თვალწინ იბუმბლებო-
და, იზრდებოდა და დღითი დღე ლა-

მაზდებოდა. ესენიც, უნდოდათ
თუ არ უნდოდათ, წარამარა იყუ-
რებოდნენ ფანჯრებიდან, ან კი-
დევ უმიზეზოდ გარბოდნენ აივან-
ზე, რაღაც არ ასვენებდათ, აფორი-
აქებდათ და სტანჯავდათ. ვერ კი
ხვდებოდნენ — რა, თუმცა იქნებ
იცოდნენ და გუმანსაც უღებდნენ,
მაგრამ თანდაყოლილი სიღრჯუის
გამო ვერც თავს უტყდებოდნენ და
ველარც ერთმანეთს ეუბნებოდნენ,
მაგრამ ამ ქვეყანად დამალული და
გაუმხელელი რა დარჩენილა.

ზაფხულის მიწურულს, კვირა
დილის სისხამზე, გლეჯიანთ ოჯა-
ხი ქალაქში წასასვლელად თადარიგს
იჭერდა, ჭირნახული მიჰქონდათ ბა-
ზარში გასაყიდად. წინა დღით დაკ-
რეფილი ნარჩევი მსხალი და ვაშ-
ლი, ხის ყუთებში საგულდაგულოდ
დახარისხებული და ჩალაგებული,
აივანზე ჰქონდათ გადგმული და ახ-
ლა, როდესაც ოჯახის თავმა მეზობ-
ლების ჯიბრზე კარგა ხანს აბლულია
ახალთახალი იორლა „მოსკვიჩი“, სა-
ბოლოოდ საბარგული ახადა და
შვილს ბრძანებით ამოსძახა — უქ-
ნარებო ყუთები ჩამამატანინეთ და
ჩამალაგებინეთ, თორემ დაგვიღამ-
დებაო, — სამთავენი მკლავებდაკა-
პიწებულები გამოეფინენ აივანზე,
მიადგნენ ყუთებს, სათითაოდ დაი-
იღლიავეს და ის იყო, კიბეს უნდა
ჩაჰყოლოდნენ, რომ რაღაც უცნაუ-
რმა ქროლვის ხმამ და ტყლაშუნმა
ადგილზე მიაბორკა და გააქვავა
ყველა. თავისდაუნებლიეთ შემობ-
რუნდნენ და დაინახეს, რომ მეზობ-
ლის საკვამურზე, ხახალ-ბუდის კი-
დეზე, თითქმის ზრდადასრულებუ-
ლი წეროები შემდგარიყვნენ, კის-
რები წაეგრძელებინათ და გამალე-
ბით, აცა-ბაცა იქნევდნენ ფრთებს.

ამათი შემოტრიალება იყო და
ორთავენი, ერთიმეორის მიყოლე-
ბით გაუბედავად, შიშნეულად გად-
მოეშვნენ, ჯერ დაბორკილებივით
აიქნიეს მხრები, დაბლა-დაბლა წა-
მოვიდნენ, მერე გაუთამამდნენ, ძა-
ლა ჩაიდგეს, ნელ-ნელა გასწორდ-
ნენ, გაიმართნენ და რატომღაც გე-
ზი მაინცდამაინც გლეჯიანთ აივნის-
კენ აიღეს. ეგრე ფარფატ-ფარფა-
ტით გადმოეკლნენ მოაჯირს, იქაუ-



რობა ააბუქეს და ორთავენი დაბრ-
მავებულებივით დედა წეროს ფი-
ტულს შეეჯახნენ, შეასკდნენ, ცოტა
ხანს შეუქს მიმწყდარი პებლებივით
იფარვანეს და ბოლოს ფილაქანით
დაფარულ აივნის იატაკს აფართხა-
ლებულები დაენარცხნენ.

შესცქეროდნენ. ზარდაცემული.
გლეჯიანი ამ უჩვეულო ამბავს და
ვერც ერთს. ვერ მოესაზრებინა ყუ-
თის ჩამოდგმა, ხელის გათავისუფ-
ლება და მიხმარება, ვიდრე წეროე-
ბი მუხლების ცახცახით თავადვე
არ წამოდგნენ, გაიმართნენ და თა-
ვალერებულებმა კვლავ დედა წეროს
ფიტულზე არ დაიწყეს მორიგეობით
შეხტომა და შეფოფინება. მაშინ კი
ჯერ დიდ გლეჯიას უმტყუნა მოთმი-
ნებამ, რაღაც ამოიხავლა, ხის ყუთი
გამწარებულმა მოისროლა, დასწვდა
პირველსავე ფრინველს, იღლიაში
ამოიჩარა და კისრისმტვრევით დაეშ-
ვა კიბეებზე. პატარა გლეჯიამაც
მამას მიბაძა. იმანაც აიტატა მეორე
და წინ წასულს გაედევნა.

როდესაც მამა-შვილი მეზობლის
სახლის სახურავზე აძვრნენ და
ფრინველები ბუდეში ჩასხეს, დედა
წეროს ფიტული უკვე ჩამოხსნილი
იყო კედლიდან.

შემოდგომის მიწურულს ორთავე
წერო გამოსაზამთრებლად იმ მხარ-
ეს გაფრინდა, სადაც კვირტა ტი-
რილი იყო დაწყებული. ცის უსა-
ზღვრო სამანს მიჩერებული, თვალ-
ებში ცრემლჩამდგარი ნიკა ნიკალა
პაპამ ეგრე დაამწვიდა — აღრე
თუ გვიან, ყველა სულდგმული
საკუთარ ბუდეს უბრუნდებაო.

მაგრამ ვინ იცის, ანდა ვინ იტყვის
დაბეჯითებით, ისურვებენ წეროები
ოდესმე იმ ადგილისკენ გამოხედვას,
სადაც მათ ბალღობისას დედა მო-
უკლეს?



**ორი
ბარათი
ორსანტიიდან
ჩვენი რაზმეული
ჩვენი სიამაყე!**

„...ზაფხულის არაღდეგებია, შე-
მოდგომა თუ ზამთარი, ორსანტიე-
ლი პიონერების სიტყვა და საქმე
ერთია. სოფლის ბავშვები მშრომე-
ლებს მუდამ მხარში უდგანან.

ორსანტიაში საქმეს რა გამო-
ლევს... ირმა ჯიქია, თენგიზ ხუფა-
ცარია, მერაბ წითლიძე, ინგა ლა-
ტარია და სხვები ჩაის კრებაში
ყოჩაღობენ. მიხარია, რომ ჩემს რა-
ზმეულში შრომისმოყვარე პიონერ-
ები გვყავს. ქებაც ბევრი მესმის მათი
მისამართით, ამიტომაც ჩემი რა-
ზმეული ჩემი სიამაყეა!“

მარინა ჯონჯუა,

ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიის
ხაშუალო სკოლის რაზმეულის ხაბჯოს
თავმჯდომარე.

ეს ბარათი პიონერული აქტივის
კლუბმა „კოცონმა“ ადრე მიიღო,
კლუბის მისამართზე გამოგზავნილი
ბარათები საგანგებოდ ინახება, მათ
შორის მარინასიც.

„კოცონმა“ ახლახან კვლავ მი-
იღო მარინას მეორე ბარათი. აი ის-
იც.

**კვლავ პიონერების
მედიული დახვეწა**

„...არ მავიწყდება ის ბედნიერი წუ-
თები, როდესაც საზეიმოდ მიმიღეს

საკავშირო პიონერთა ორგანიზაცი-
ის რიგებში და ყელზე წითელი
ყელსახვევი შემინასკვეს, მახსოვს,
თავიდანვე საოცარი სიამაყის გრძობა
დამეუფლა.

მეშვიდე კლასში ვიყავი, რომ რა-
ზმეულის საბჭოს თავმჯდომარედ
ამირჩიეს. ჩემთვის ეს დიდი სიხა-
რული იყო!

— აბა შენ იცი, ნდობას გამარ-
თლება უნდა, — მოთხრა მაშინ ზაირა
ხელმძღვანელმა.

ჩემი მეგობრებისა და ზაირა ხე-
ლმძღვანელის დახმარებით არ გამი-
ჭირდა მუშაობა. შემდეგ კომკავში-
რის რიგებში მიმიღეს; კვლავ დი-
დი სიხარული, მღელვარება მეწვია.
შემდეგაც, კომკავშირელი, მე კვლავ
პიონერების წინამძღოლად დავრჩი;
ასეთი იყო ჩემი მეტად საპასუხის-
მგებლო კომკავშირული დავალება.

სკოლის შემდეგ სწავლა პროფტე-
ქნიკურ სასწავლებელში გავაგრძე-
ლე, რაზმეულში მიღებული საზო-



მარინა ჯონჯუა

გადოებრივი მუშაობის გამოცდი-
ლება აქაც გამომადგა. სასწავლებ-
ლის კომკავშირის კომიტეტში ამირ-
ჩიეს. ახლაც მიყვარს ჩემი ყოფილი
რაზმეული. ვერ ვიფიქრებ პიონერ-
ულ წლებს და ამიტომაც კვლავ ერ-
თადა ვართ მე და ჩემი სკოლის რა-
ზმეული, რომლის შესახებაც ადრეც
მოგწერეთ. იქ დღესაც საინტერესო
მუშაობაა გაშლილი. რაზმეული
დღეს საკავშირო პიონერული მარ-
შის ახალი ეტაპის მარშრუტებით
მიაბიჯებს...

რაზმეული ზოია რუხაძის რაზმეული
ატარებს; სკოლის ყველა თაობის
პიონერი გულმოდგინედ სწავლობს
მამაცი კომკავშირელის ბიოგრაფი-
ას, ეცნობა გმირი ქალიშვი-
ლისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებს;
ამ საქმეში მათ ინტერკლუბი „მნა-
თობიც“ შველის. კლუბი მასწავლ-
ებელ გული ხაზალას ხელმძღვან-
ელობით საინტერესოდ მუშაობს,
მას ურთიერთობა აქვს სსრ კავში-
რის ყველა მოძმე რესპუბლიკის პი-
ონერებთან და გერმანიის დემოკ-
რატიული რესპუბლიკის ქ. დრეზ-
დენის თანატოლებთან.

შორენა ჯიქია, ირა წითაშვილი,
მამუკა აბსნაძე, ირმა კუპრავა, ირი-
ნა ბენდელიანი, ხათუნა გელენავა,
თენგიზ და ბეჟან ხუფაცარიები,
რაზმის ყველა პიონერი რაზმეულის
კარგ ტრადიციებს უფრთხილდება.
ეს ტრადიციებია სოფლის ვეტე-
რანებთან შეხვედრები, ნორჩ მხატვ-
ართა, მხარეთმცოდნეთა, ფიზიკოს-
თა, ნატურალისტთა, დეკლამატორ-
თა კონკურსები, ზეიმები, შეხვედრ-
ები, შეკრებები, ლაშქრობები.

...ორსანტია ენგურის პირას გაშ-
ლილი სოფელია, იგი სულ მწვანე-
შია ჩაფლული, სოფლის კალთებზე
ერთმანეთს ენაცვლებიან ზვრები და
ყანები, ჩაისა და ციტრუსების პლა-
ნტაციები. აქ წლის ყველა დროში
შრომაა გაჩაღებული. მეჩაიეებს,
მესიმინდეებს, მეაბრეშუმეებს, მე-
ქანიზატორებს გვერდით უდგანან
ორსანტიელი ახალგაზრდები, მათ-
თან ერთად პიონერებიც. რაზმეულ-
ში მოქმედებს პიონერული შრომი-
თი საქმეების ხუთწლედ; პიონერ-
ები აქტიურად მონაწილეობენ ჩვე-
ნი ქვეყნის სასურსათო პროგრამის
განხორციელებაში. ნორჩმა მებოს-
ტნეებმა სასკოლო ნაკვეთზე კიტ-
რის, ოხრახუშის, ხახვის, კარტოფი-
ლის, სიმინდის, კომბოსტოს უხვი
მოსავალი მოიწიეს. პიონერული
ხუთწლედის გმირებმა ირმა კუპ-
რავამ, მარინა ჯონჯუამ, ბეჟან
ხუფაცარიამ, მამუკა აბსნაძემ და

მეშინია იმ ხელების ზედაპირს

მეშინია იმ ხელების,
ნამგალი რომ არ სჭერია,
მეშინია იმ ხელების,
წერაქვი რომ არ სჭერია,
მეშინია იმ ხელების,
ნიჩაბი რომ არ სჭერია,
მეშინია იმ ხელების,
კოყრი რომ არ გასჩენია!
მეშინია იმ ხელების,
კალამი რომ არ სჭერია,
საჭრეთელი, ყალამ-ფუნჯი
რომ არასდროს არ სჭერია,
მელანი და საღებავი
რომ არასდროს დასჩენია...
მეშინია იმ ხელების,
გულს იარად დამჩენია,
სხვისი ხელი მოწიწებით
ერთხელაც რომ არ სჭერია!..

ხევისუბებში რომ ზამთრის სუსხს
მზე დაჰკრავს, სული გასძვრება,
ტყემლები თეთრად იფეთქებს,
ატმები დაიხანძრება,
აპრილის სიო ფრთაცელქი
სულში რომ თრთოლვით
ჩაძვრება...

ნეტავ იცოდე, უშენოდ
რა ძნელი არის გაძლება!



სხვებმა სახელმწიფოს ჩააბარეს 525 კილოგრამი დაფნის ფოთოლი, მეორე რაზმელებმა შორენა ჯიქიას მეთაურობით სკოლის ეზოში მეიერის ჭიშის 30 ძირი ლიმონი დარგეს და გაახარეს. მათ ჩაის კრეფაშიც იყოჩაღეს — სკოლის ჩაის პლანტაციას 2 ტონა პირველი ხარისხის „მწვანე ოქრო“ მოკრიფეს; მეურნეობაში კი ლ. შეროზიამ, ი. ლატარიამ, ე. პერტაიამ 300-350 კილოგრამი ჩაი მოკრიფეს; შრომით სემესტრში უფროსკლასელებს მხარში ედგნენ მეშვიდეკლასელები ლუდა შეროზია, ეკა პერტაია, ფატიმა თორია.

სკოლას დიდი ეზო-გარემო აქვს. პიონერებმა აქ თხილნარი გაახარეს, ჭადრის სანერგე მოაწყვეს. მადონა ჯონჯუას, ეკა მოხვაშის, ბეჟან ხუფაცარიას მოვლილი ჭადრის ნერგები აქედან სხვადასხვა რაიონებსა და ქალაქებში იგზავნება.

რაზმეულის ყოველი დღე საინტერესოა; პიონერების ხშირი სტუმარია დიდი სამამულო ომის ვეტერანი, წითელი ვარსკვლავის ორდენის კავალერი კონსტანტინე მიქაევა.

ორსანტიელი წითელკვლამაძიებლები სწორედ მისი დახმარებით ამზადებენ ნარკვევებს მშობლიური სოფლის ისტორიაზე. იკვლევენ, საიდან მოდის სოფლის სახელწოდება, აგროვებენ მასალებს სოფლის პირველ ხუთწლედებზე, ადგენენ სკოლის მატეანეს, შეიტყვეს, როდის გაიხსნა ორსანტიაში ჯერ შვიდკლასიანი სასწავლებელი, შემდეგ საშუალო სკოლა, ისიც, რომ 1936 წლიდან აშენდა სოფელში სახერხი და აგურის ქარხნები, გაიხსნა აფთიაქი, ბიბლიოთეკა, აიგო მეცხოველეობის ფერმის შენობა, კულტურის სახლი, ჩამოყალიბდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, პიონერებმა დებორა ბეზიას სახლში ნადეუდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიას ხელმოწერილ სიგელსაც მიაკვლიეს. ეს სიგელი დებორა ბეზიასათვის ახალგაზრდობის წლებში გადაუციათ სოფლის

კულტურულ ცხოვრებაში ნაყოფიერი და ხანგრძლივი მუშაობისათვის. პიონერებმა სხვა საინტერესო მასალებსაც მიაგნეს. ჩაიწერეს დიდი სამამულო ომის პერიოდში ზურგში მომუშავე საუკეთესო ადამიანების, სოფლის კომკავშირელთა შრომითი გმირობის ეპიზოდები, ნახეს უმაღლესი მთავარსარდლის მადლობის ფურცელი კომკავშირელ მიშკო პერტაიას მისამართით, რომელმაც 17 000 მანეთი შეიტანა სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ ასაგებად.

კვლამაძიებელთა საქმიანობა კვლავ გრძელდება.

... პროფტექნიკურ სასწავლებელში ზეინკლის პროფესიის შესწავლა დიდ დროს მოითხოვს, მაგრამ კვლავ პიონერების ერთგული ვრჩები; ვიცი, რასაც ნიშნავს პიონერული აქტივისტისათვის კომკავშირელთა მხარდაჭერა და დახმარება. სხვანაირად მე არ შემიძლია, რაზმეულს ზრუნვას არ მოვაკლებ.

პიონერული ცხოვრება კოლექტიური, ერთმანეთზე ზრუნვით სავსე ცხოვრებაა, მინდა კვლავ დავრჩე ამ კოლექტიური ცხოვრების მონაწილედ.

ჩემი რაზმეული ჩემი სიამაყეა და ასეთად დარჩება მუდამ!

მარინა ჯონჯუა,
ზუგდიდის № 77 ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე.

მოგვწერით:

— თქვენთანაც ასეა, მეგობრებო? გვიანტიერებს, რაზმეულთან კვლავ მეგობრობენ რაზმეულის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარეები, აქტივისტები? გვიაზნებთ თქვენსა და მათ ურთიერთობაზე. შეგახსენებთ ჩვენს მისამართს: 880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, უფროსი „პიონერის“ რედაქცია, „კონსიხათვის“.



პეტრიწონის მონასტერი

900 წლის წინათ, 1088 წელს ბიზანტიის იმპერიაში (ახლანდელი ბულგარეთის ტერიტორიაზე) დაარსდა მნიშვნელოვანი ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერა — პეტრიწონის მონასტერი. აქ ჩამოყალიბებულმა ლიტერატურულ-ფილოსოფიურმა სკოლამ უდიდესი როლი ითამაშა ქართული კულტურის განვითარებაში. პეტრიწონი (ახე ერქვა სოფელსაც) მდებარეობს ქ. პლოვდივიდან 80 კმ-ში, როდოპის ქედის ჩრდილო კალთაზე, მდ. ასენიციის მარჯვენა ნაპირას. დღეს პეტრიწონის მონასტერი ბულგარეთში ბაჩკოვოს მონასტრის სახელ-

წოდებითაა ცნობილი (ბაჩკოვო ახლანდელი სოფლის სახელია, რომელიც მონასტრის ახლოს მდებარეობს). მეცნიერები ვარაუდობენ, რომ პეტრიწონის მონასტერში წლების მანძილზე მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი ლიტერატორი და ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, რომელიც აქ დაარსებულ სემინარიას ხელმძღვანელობდა.

1887 წელს პროფ. ა. ცაგარელმა რუს აღმოსავლეთმცოდნეთა სხდომაზე წაიკითხა მოხსენება ბულგარეთში მოპოვებული ქართული წარწერების შესახებ. მეცნიერმა გამოთქვა მოსაზრება (ანა კომნიანოსის

ცნობაზე დაყრდნობით), რომ პეტრიწონის მონასტერი ქართველების, ძმები ბაკურიანების მიერაა დაარსებული.

მალე გაირკვა, რომ პეტრიწონის მონასტერი 1088 წელს დააარსა გრიგოლ ბაკურიანისძემ, რომელიც ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციების ჯარების მთავარსარდალი იყო.

პეტრიწონის მონასტრის საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა აკად. ა. შანიძემ („ქართველთა მონასტერი ბულგარეთში“). მეცნიერმა გულდასმით შეისწავლა გრიგოლის მიერ მონასტრისათვის შედგენილი „ტიპიკონი“. წესდების თანახმად, მონასტერი მხოლოდ ქართველთათვის იყო განკუთვნილი, შიგ შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ერთი ბერძენი, ის, ვისაც მიმოწერა უნდა ეწარმოებინა მონასტრისა და ადგილობრივ საერო ხელისუფალთა შორის.

მონასტერი შედგებოდა სამი ეკლესიისა, საძვალისა (სამარხი) და სენაკებისაგან. მთავარ ეკლესიას ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია წარმოადგენდა, დანარჩენი ორი, შედარებით მომცრო ეკლესია, აგებული იყო იოანე ნათლისმცემლისა და წმ. გიორგის სახელზე. გალაგნის გარეთ გრიგოლმა ააშენა „სამარხი“ ანუ საძვალე, რომელიც დღესაც არსებობს. იგი კლდეზე გადაშენებული ორსართულიანი შენობაა. კედლები თავის დროზე მონატული ყოფილა, ახლა მხოლოდ ფრაგმენტებია შემონახული. ეკლესიის შენობის ქვედა სართულში გრიგოლმა დაკრძალა თავისი ძმა, მაგისტროსი აბაზი. შემდეგ, როცა 1086 წელს პაპნიკებთან ბრძოლაში გრიგოლი დაიღუპა, ისიც ძმის გვერდით დასაფლავეს. აქვე, ნიშაში, დასაბუთდა მონასტრის დამაარსებელი გრიგოლი და მისი ძმა აბაზი. ეს მხატვრობა, როგორც ჩანს, XIV საუკუნეში განუახლებიათ. საძვალე გრიგოლის აგებული ერთადერთი ნაგებობაა, რომელიც დღემდე შემორჩა. საძვალის ზედა სართული ეკლესიის მოვალეობას ასრულებდა. ღვთისმშობლის მთავარი, გუმბათოვანი ეკლესია საფუძვლიანად გადააკეთეს XVII საუკუნის დასაწყისში (1604 წ.). ამ ეკლესიის გუმბათის თავზე ჯვარია აღმართული. ზედ მრგვალოვანი აწერია — ძღვეამ. მონასტერში დაცულია ღვთისმშობლის ჰედურო ხატი, რომელსაც ამკობს ქართული წარწერა. იგი 1811 წელს მოუჭედავთ ტაოლებს, ათანახესა და ოქროპირს. იოანე ნათლისმცემლისა და წმ. გიორგის ეკლესიებიც განაშენებულია. მკვლევართა ვარაუდით, საძვალის ზედა სართული — ეკლესია — წმ. გიორგის სახელობისა უნდა იყოს.

საინტერესოა, რომ მონასტრის გარდა გრიგოლმა პეტრიწონში ააგო ერთი სასწრაფო (საავადმყოფო) და სამი სასტუმრო სხვადასხვა ადგილას. მან მონასტრის შესწირა სოფლები გლეხებითურთ, საძოვრე-

ბი, ზვრები, ტბა, წიხვილი და სხვ. ამას გარდა, ეკლესიას უსახსოვრა საეკლესიო წიგნები, ხატები, ჯვრები, სამოსელი, დააარსა სემინარია, სადაც ექვსი ახალგაზრდა სწავლობდა. მათგან ღირსეულნი მონასტრში რჩებოდნენ. სემინარიის პედაგოგი იყო, როგორც ვთქვით, ცნობილი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, შემდეგში — გელათის აკადემიის ხელმძღვანელი.

თავის მიერ შედგენილ წესდებაში გრიგოლი წერს: „დაიწერა უკუე და დამტკიცა წესი ესე განგებისა ამის პატრიარქისა მონასტრისა ჩუენისა ღმრთისმშობლისა პეტრიწონისა ბრძანებითა გრიგოლ სევასტოსისა დიდისა ღმრთისმშობლისა უკვლისა დასავლეთისა მიდამოდას, ძისა ბაკურიანისა მათა მამულებლისა ზემო თქმულისა ამის მონასტრისა და ეკლესიისა, წერილითა ბერძნულითა და ქართულითა“. შემდეგ გრიგოლი წერს, რომ წარმოშობით არის ქართველი. იბერიდან, და ეკუთვნის უბრწყინვალეს ქართულ გვარს.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ საძვალე თვით გრიგოლმა მოახატინა, თუმცა ზოგი მკვლევარი მხატვრობას XII საუკუნეს აკუთვნებს, მისი მომხატველი იოანე ივეროპული მეცნიერთა ერთ ნაწილს ქართველად მიაჩნია. საყურადღებოა მხატვრის მიერ შერჩეული მასალა: მას დაუხატავს ილარიონ ქართველის, ექვთიმე ათონელის, გიორგი მთაწმინდელის პორტრეტები.


1189 წელს მონასტერი ხელთ იგდეს ჯვაროსნებმა. XIV საუკუნეში ბულგარეთის მეფე ივანე-ალექსანდრემ ტაძარი აღადგინა, განაახლა და მოხატა საძვალე. ამ დროს აქ ჭერ კიდევ ჩანან ქართველები. შემდეგ მონასტრის თურქები დაეპატრონენ და ბულგარელებს იგი მხოლოდ XVI საუკუნეში დაუბრუნდათ. მომდევნო საუკუნეებში აქ ააგეს მთავარი ტაძარი და სატრაპეზო. გასული საუკუნის მეორე ნახევარში სატრაპეზო გარედანაც მოხატეს.

1877-1878 წლებში პეტრიწონის მიღამოებში სასტიკი ბრძოლები გაჩაღდა თურქების წინააღმდეგ. მონასტერი განადგურებას გადაარჩინა რუსეთის არმიის კაპიტანმა გ. ჯორჯაძემ, რომელმაც თავისი რაზმით უკუაქცია მტერი. 1894 წელს ბერძნებმა მონასტერი ბულგარელებს დაუთმეს.

ამჟამად ბაჩკოვოს მონასტერი კარგადაა მოვლილი, მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები. ტურისტებს გულმარტლად აცნობენ მონასტრის ისტორიას, უყვებიათ მის ქართველ დამაარსებელზე. ბაჩკოვოს მონასტერი ჩვენი ხალხების მეგობრობის ერთ-ერთ კერად იქცა.

ამირან ჩხარტიშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

ჯ. ჯიშკარიანის ფოტო



ქურციკი (ჯეირანი)



ქურციკი წყვილჩლიქოსანთა რიგისა და ძროხისებრთა ოჯახის წარმომადგენელია. ქურციკი გავრცელებულია წინა, ცენტრალურ და შუა აზიაში, ჯუნგარაისა და ტიბეტის ჩრდილო ნაწილში. საბჭოთა კავშირში გვხვდება ამიერკავკასიაში და შუა აზიის რესპუბლიკების უდაბნოებსა და ნახევრადუდაბნოებში. საქართველოში ქურციკი თითქმის გაქრა, თუმცა ჭერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში იგი ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში: სამგორის, ყარაიას, შირაქისა და ელდარის ველებსა და ნახევრადუდაბნოს ზონაში. განსაკუთრებით მკვეთრად შემცირდა ქურციკის გავრცელების ადგილები მეოცე საუკუნის 20-40-იან წლებში ტერიტორიის სასოფლო-სამეურნეო მიზნით ფართოდ ათვისების გამო. ძალზე იშვიათად ქურციკი შემოდის აზერბაიჯანიდან და ერთეულების სახით გვხვდება შირაქ-ელდარის ველებზე. 1971-72 წ. წ. მონაცემებით ქურციკის რიცხოვნობა საბჭოთა კავშირის ფარგლებში დაახლოებით 7-10 ათასია.


ქურციკი მეტად მოხდენილი ცხოველია, მაღალი, წვრილი ფეხებით. მისი სხეულის


სიგრძე 95-105 სმ-ია. თავი და ყურები შედარებით მცირე ზომისა აქვს. ქურციკის კისერი წვრილია და გრძელი, კუდის სიგრძე — 25 სმ-მდეა. მამრებს აქვთ 30 სმ-ის სიგრძის რქები, მდედრებს ისინი სულ არა აქვთ, ანდა თუ აქვთ, ძალზე მოკლე — 2-3 სმ სიგრძისა. ქურციკი 25-80 კგ იწონის. მას კარგად აქვს განვითარებული სმენა, მხედველობა და ყნოსვა. საფრთხის მოახლოებისას თავს შველის გაქცევით, ამ დროს იგი დიდ სისწრაფეს ავითარებს. იკვებება ბალახით და ბუჩქებით. მდედრი შობს ერთ ან ორ ციკანს.

ქურციკის რაოდენობის შემცირების ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ მის ადგილსამყოფელზე ცხვრის ფარები ძოვენ. ქურციკის ბუნებრივი მტრებია: მგელი, ტურა და მელა. გარკვეულ ზიანს აყენებენ მას მეცხვარისა და მაწანწალა ძაღლები, მოზარდი ქურციკისათვის არწივებსაც მოაქვთ ზიანი.

ქურციკი ტყეობაში კარგად მრავლდება ადვილად შინაურდება, მაგრამ ამჟამად საქართველოში ამის შემთხვევა არა გვაქვს.

ქურციკზე ნადირობა აკრძალულია.





განუყოფილი

განუყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი შოტა ინჟაბირველი

თამაშობენ ნორჩები

„ის, ვინც სწორად მიმოითვებს შეცდომებზე — ჩემი მასწავლებელია; ის, ვინც სწორად აღნიშნავს ჩემს უტყუარ საქციელს — ჩემი მეგობარია; ის, ვინც პირში მეფერება — ჩემი მტერია“.

სიუნი-ძი.

ხოსრუაშვილი — ნაჭყაბიძე (ხობი). 1. d4 მფ6 2. c4 e6 3. მც8 ძ5 4. მფ8 მც6 5. კგ5 კე7 6. e8 0—0 7. კძ8 კდ7?? 8. 0—0?? (8. კ×f6 და 9. cd პაიკ იგებდა). შავებისა და თეთრების უკანასკნელ, მცდარ ვლგებს სადებიუტო ყაიღის შეცდომებს ვერ მივაკუთვნებთ.


ისინი, უბრალოდ, უხეში შეცდომებია, ძირითადად ხიჩქარით, უყურადღებობით ან დაუღიჯობით გამოწვეული. მ წლის დათო ხოსრუაშვილი ნიჭიერია, ოღონდ თავშეუთავებული. ტემპერამენტით სანგვინიკია. აუცილებელია, ყველამ და, პირველ რიგში დათო ხოსრუაშვილმა, იზრუნოს საკუთარი ნებისყოფის განმტკიცებაზე, თვითაღზრდაზე, თუ სურს მომავალში დიდი შედეგების მოპოვება. ფესტივალში გათამაშებული პარტიების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბავშვები ნაკლებად გრძობენ საშინაოებას და ისე მოქმედებენ, თითქოს პარტიას მართო თვითონ თამაშობენ, მეტოქის გარეშე; მხოლოდ თავისი მხრიდან უყურებენ და აფასებენ მოვლენებს). 8. ... ძც 9. კ×c4 მე8 10. კ×e7 ლ×e7 11.

გაგრძელება იხ. „პიონერი“ № 11 (1988 წ.).

e4 მძ6 12. კძ8 e5?? 13. ძე?? (იგებდა ჯერ 13. მძ6) 18. ... მ×e5 14. მძ5 მ×f8 (ნუთუ ასეთი აშკარა, შუალედური ხვლა ვერ გაითვალისწინებს თეთრებმა?!). 15. ლ×f8 ლძ8 16. e5 მც8 17. ლჩ5 (საყურადღებოა 17. ლე4) 17. ... h6 18. f4?? (ეს სასურველი ხვლა ამ შემთხვევაში ტაქტიკური შეცდომაა. შეუიარაღებელი თვალათაც ჩანს, რომ „d“ ვერტიკალზე თეთრი ფიგურები დაუცველია. ეს კვლავ მოწინააღმდეგის კონტრათამაშის გაუთვალისწინებლობაა. უფრო მეტიც, სწორედ 18. f4??-ის შემდეგ იძენს შავების კონტრათამაში რეალურ ძალას. ასეა თუ ისე, ეს „ზრდის ხენია“, მაგრამ ზოგჯერ ეს „საყმაწვილო ხენი“ ქრონიკულში გადაიზრდება ხოლმე. ნორჩი მოჭადრაკისათვის ცოდნაზე მეტად ჩვევების შექმნა საშური. შეიძლება 18. ეად1 და თუ 18. ...ლგ5, მაშინ 19. ლე2 და 20. f4. პროფილაქტიკის, პოზიციის გაუმჯობესება-გაძლიერების ნაცვლად, ხოსრუაშვილი წინდაუხედავი, მოუზღაღებელი „აქტიურობით“ არა მარტო აცამტვერებს თავის უპირატესობას, არამედ მყისვე აგებს) 18. ... კც6 19. მხ4 ლძ4 20. მფh1 ლ×b4 21. f5 ლ×b2 22. ლგ4 ლ×e5 და ნაჭყაბიძე მოიგო.

მეორეთანრიგოსნისათვის ასეთი თამაში სამარცხვინია. მით უმეტეს, რომ ამ ტურნირში ხოსრუაშვილმა პირველი თანრიგის ნორმა შეასრულა.


ხოსრუაშვილი



მარბძე (ქუთაისი)


შავებს გადაწყვეტილ მატერიალური და პოზიციური უპირატესობა აქვთ. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ეს პარტია ყაიმით დამთავრდა. 25. ლც2 d4 26. ეედ1 ეძ8 27. ეძ8 (ცნობილია — მძიმე ფიგურები ღირებულებისა და სიტლანქის გამო ცუდი ბლოკირები არიან) 27. ...

მძ5 28. კ×d5 ლ×d5 29. f8 e4?? (აქაც ისევ და ისევ მოწინააღმდეგის კონტრატამაშის გაუთვალისწინებლობაა. საჭირო იყო პოზიციის გაძლიერება, მაგალითად ა6—ა5—ა4 ხვლებით. თეთრების პასიური მდგომარეობა ამის საშუალებას იძლეოდა. უკანასკნელი ხვლა ტაქტიკური შეცდომაა) 30. fe ლ×e4 31. ე×c3! (ტაქტიკური დარტყმის მოტივია შავი ლაზერის დაუცველობა) 31. ... ლ×c2 32. ემ×c2 (შავების მრისხანე პაიკებისაგან მოგონებალა დარჩა) 32. ... ე×c2 33. ე×c2? (ჯობდა 33. მფ×c2, მეფის ცენტრალიზაცია. თეთრებს პაიკთა ენდშილიხსა არ უნდა უწინოდეთ. პირიქით, მათ ხომ დაშორებული — „ხ“ — გამსვლელი პაიკი“ ჰყავთ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თეთრების სუსტი ხვლა გამოწვეულია პაიკთა ენდშილის მცდარი შეფასებით) 33. ... ეძ7 34. ეძ2 მფ7 35. მფც2 მფე6 36. ეძ3? („ძმ“ მეფემ უნდა დაიკავოს, ეტლს კი ასპარეზი სჭირდება. ეტლის გარდა, სხვა ფიგურები შეტევასა და დაცვაში დაახლოებით თანაბარი ძალისანი არიან, ეტლი კი მხოლოდ შეტევაში ავლენს ძალას, დაცვაში მოუქნელი და სუსტია) 36. ... მფე5 37. მფძ2 ეძ7 38. ემ8 ე×f8 (საინტერესოა, რას ეყრდნობა ხოსრუაშვილი პაიკთა ენდშილში გადასვლისას) 39. ეფ ეფ



(შევაფასოთ პოზიცია: ზოგადად მოსაზრება — პაიკთა ენდშილში „იგებს დაშორებული გამსვლელი პაიკი“. მსგავს ენდშილში გადასვლისას ეს მეტად მნიშვნელოვანი ორიენტირია. გათვლაც თეთრების სსარგებლოდ ლაპარაკობს: შავი მეფის მიერ „f8“ და „h8“ პაიკების აყვანას და „ეგ“ პაიკის ლაზერად გადაქცევას მ ხვლა სჭირდება, მაშინ, როცა თეთრების „ხ“ პაიკს — მ ხვლა. ჩვენ

მოვიყვანეთ ვარიანტი „რჩხუტან“ გათვალისწინება უსწრესობების იყო. სხვა გაგრძელებებში თავისი სიტყვა უნდა თქვას „დაშორებულმა გამსვლელმა პაიკმა“. პაიკთა ენდშილი შავებისათვის წაგებულია) 40. ა4?? („ტექნიკური წუნი“. უნდა დავძრათ „კანდილატი“ — ნიშნობის ტერმინოლოგიით — ესე იგი ის, რომლის ვერტიკალზე არ დგას მოწინააღმდეგის პაიკი. ამიტომ საჭირო იყო 40. ხ4 ან ჯერ 40. მფძ8) 40. ... ა5 (ახლა უკვე თეთრები აგებენ. ერთ ხვლაში მკვეთრად შემობრუნდა პარტიის ბედი) 41. ხ4 (თეთრებს სხვა რაღა დარჩენიათ) 41. ... აბ 42. ა5 მფძ5 (შავი მეფე „კვადრატში“) 43. ა6 მფც4 44. ა7 მფბ7 45. მფძ8 მფ×ა7?? (ავტომატიზმი! როგორი სულგარძელობა გვმართებს, რომ სხვისი მოსწავლის ნიქსა და ცოდნა-გაგებაზე თითო-ორილა ფრგამენტით, ან თუნდაც პარტიებით არ გავაკეთოთ დასკვნები. დათო ხოსრუაშვილი ჩემი აღსაზრდელია და კარგად ვიცნობ. „შეკარა“ 45. ... მფ×ა7??-ის ნაცვლად იგებდა 45. ... ხ3!



(დაიგრამა ვარიანტიდან)

თეთრ მეფეს არ შეუძლია აიყვანოს „d4“ პაიკი, რადგან მაშინ მეფე დარჩება ხ8 პაიკის კვადრატის ფარგლებს შიღმა. „d4“ პაიკი ირიბადა (ტაქტიკურად) დაცული „ხ8“ პაიკით. ასევე, კრახით დამთავრდებოდა თეთრი მეფის მცდელობა მოეგო „ხ8“ პაიკი: 46. მფძ2 მფ×ა7 47. მფც1 ძმ1 და თეთრები ცუტყვანგშია. როგორც ვხედავთ, განცალკევებული გამსვლელი პაიკები არა მარტო ირიბად იცავენ ერთმანეთს, არამედ ზოგჯერ აგრესიულებიც ხდებიან. მათ შორის დამყარდა ურთიერთშეთანხმებული მოქმედება, ტაქტიკური ურთიერთმოქმედება. შეთანხმებულ

გამოკითხვები

ეშპეკი


ოსური ზღაპარი

ლი, კოორდინირებული მოქმედება საკლარაკო პარტიის წარმართვის ძირითადი კანონია, (ქვაკუთხედი) 46. მც4! (ერადის ეს ბრწყინვალე იდეა — ხოსრუაშვილისათვის უთუოდ მოულოდნელი — სამწუხაროდ, საქმეს ვერ შევლის) 46. ... მფხ6?? (ეს „კომედიის“ ბოლო აქტია. იგებდა 46. ... d8!) 47. მფxh4 მფც6? (თეთრებს ყაიშის მიღწევას ურთულდება 47. ... d8 მაგალითად: 48. მფც8 მფც5 (სივრცის მოპოვება) 49. მფxd8 მფდ5 50. მფე8 მფენ 51. მფე2 მფქ5 52. მფქ2 h6! 53. h4! თუ 53. მფე2??, მაშინ 53. ... h5 54. მფქ2 h4 და შავები იგებენ) 48. მფც4 მფდ8 (აქაც შეიძლება გართულება 48. ... d8 სვლით) 49. მფxd4 მფენ ყაიში.

(გაგრძელება იქნება)

ახლა კი ამოხსნელად გთავაზობთ კობა ჩაჩანაშვილის კიდევ ერთ მშვენიერ დაბოლოებას.

ჩაჩანაშვილი



ბახტაძე

კობა შეხანიშნავად იყენებს პირველი პორიზონტალის სისუსტეს (მოტივი) და ახორციელებს ბრწყინვალე ტაქტიკურ დარტყმას — „გათრევის იდეას“.

ველით თქვენს პასუხს.

№ 7 „პიონერში“ გამოქვეყნებულ პოზიციაში რუსულან თოლორაიამ გაიმარჯვა 25. კქნ! სვლით.

სწორი პასუხები პირველებმა გამოგზავნეს: ზურაბ იგრიანი (რუსთავი), ქ. ლარიაშვილი (გურჯაანის რ-ნი, ვაჟისუბანი), ვ. ჩხაიძე, ლ. და მ. ქუციანი, მ. დოლიძე, გ. კალოიანი, დ. ურუშაძე, ვ. ლორთქიფანიძე, ა. ბოლქვაძე, მ. ტიკარაძე, ი. შენგელიამ, ნანა, ნატო და დათო ესნივებმა, ხ. გაგუამ, ლ. მიქელაშვილი (ბათუმი).

გმირმა ბათირმა გადაწყვიტა, რაღაც უნდა დასჯდომოდა, მოენახა კაცობრიობის უბოროტესი მტერი, შეითან-ეშმაკი და დაემარცხებინა.

აისხა საჭურველი და გაემგზავრა შეითანის საძებნელად. ბევრი იარა თუ ცოტა, მიაგნო მის ბუნაგს და ეშმაკი საბრძოლველად გამოიწვია, შეეხებენ ერთმანეთს. ბათირმა სძლია და ის იყო, უნდა მოეკლა, რომ ეშმაკმა წამოიძახა:

— დაიცა, ბათირ! ყური დამიგდე! მართალია, მძლიე, და ვიცი ახლავ თავს წამაცლი, მაგრამ აბა მითხარი, რას მოიგებ ჩემი სიკვდილით?

— ხალხს ეშმაკს მოვაშორებ!

— გმირო ბათირ! თუ ცოცხალს დამტოვებ, ყოველ დილას შენი ბალიშის ქვეშ ოქრო დაგვხდება.

ბათირი დაფიქრდა და ეშმაკის მოკვლა გადაიფიქრა.

დილას კი ბალიშის ქვეშ მართლაც ნახა ერთი ოქროს მანეთიანი. ასევე მოხდა მეორე დილას და მესამე დილასაც.

მეოთხე დილას რომ შეპყო ბალიშის ქვეშ ხელი, ჰოი, საკვირვე-

ლებავ! — აღარაფერი დახვდა.

მონახა ბათირმა ეშმაკი და კვლავ სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება.

ბევრი იბრძოლეს, ბოლოს ეშმაკმა სძლია და ის იყო, თავი უნდა მოეკვთა ბათირისათვის, რომ ბათირმა მოასწრო და ჰკითხა:

— ვხედავ, მომერიე, და ალბათ მომკლავ კიდევ, მაგრამ ამისხენი, როგორ მოხდა ეს? პირველად ხომ მე დაგძლიე? ნუთუ ამ ოთხ-ხუთი დღის განმავლობაში მე ასე დავსუსტდი და შენ კი გაძლიერდი? რა შეიცვალა ასე მალე?


— არაფერიც არ შეცვლილა, — უპასუხა ეშმაკმა, — არც მე გაძლიერებულვარ და არც შენ დასუსტებულხარ.

— მაშ რა მოხდა?!

— წინათ შენ საერთო ბოროტების წინააღმდეგ იბრძოდი მხოლოდ და მხოლოდ; ახლა კი შენი პირადი მტრის წინააღმდეგ იბრძვი! — მიუგო ეშმაკმა.

თარგმანი ილია კახაზაშვილმა

მხატვარი იოსებ სამსონაძე





**ამინდი
და
უსაზღვრობა**

გფრ-ის მეტეოროლოგიურმა ინსტიტუტმა დაადგინა, რომ ზოგიერთი მოვლენა მძლოლებში რეაქციის შენელებას იწვევს, რასაც ხშირად კატასტროფა მოჰყვება ხოლმე. შედეგად საგზაო სატრანსპორტო საშუალებებმა სპეციალური გამოკვლევის შედეგად დაადგინეს, რომ საავტომობილო შემთხვევებში რიცხვი ატმოსფერული წნევის აწევას მატულობს 21 %-ით, ცივი ქარის პირობებში — 28%-ით ჰაერის ტემპერატურის საგრძნობი მომატებისას კი 56%-ით.

**მისაც
უძილობა
აწუხებს**

იაპონელმა კომპოზიტორმა ვატანაბე ომურამ მათთვის, ვისაც უძილობა სჭირს, მაგნიტოფონზე ჩაწერა სპეციალური მუსიკა. თუ რეკლამას დავუჭერებთ, მუსიკა ისე ეფექტურად მოქმედებს, რომ მუშაობის პროცესში თვით კომპოზიტორს რამდენჯერმე ჩასვლია და სკამიდანაც გადამოვარდა.

გაუმამდარი კენჭურუ

რომელმა ცხოველმა გაუჩინა ყველაზე მეტი საჭრუნავი ავსტრალიელებს? ბოცვრებმა, ველურმა ძაღლებმა? ამ საკითხში კარგად რომ გავერკვეთ, მივმართოთ ციფრებს. მეხუთე კონტინენტზე ამჟამად რეგისტრირებულია ათას სუთანის კენჭურუზე მონადირე. ერთი კენჭურუ თურმე სამჯერ მეტ

ბაოახს კემს, ვიდრე ერთი ცხვარი. უკანასკნელი 200 წლის მანძილზე ავსტრალიის კენჭურუთა რიცხვმა ორჯერ მოიმატა და ამჟამად 45 მილიონ სულს შეადგენს, რაც სამჯერ აღემატება ავსტრალიის მოსახლეობას.

**ტელეფონი
თანამედროვე
მსოფლიოში**

სტატისტიკური მონაცემებით ახლა მსოფლიოში 510 მილიონი ტელეფონის აპარატია, ე. ი. საშუალოდ 11,5 აპარატი — ას კაცზე. სატელეფონო ქსელის სიმჭიდროვის რეკორდი ავსტრალიასა და ახალ ზელანდიას ეკუთვნის, აქ ას კაცზე 42,1 ტელეფონი მოდის (აფრიკაში კი — მხოლოდ 1,8 აპარატი). თუ ტელეფონით ლაპარაკის ხანგრძლივობას დღე-ღამის ყველა მცხოვრებზე გავანაწილებთ, გამოვა, რომ დღე-ღამეში თითოეული ჩვენთაგანი ტელეფონით 70 წამის განმავლობაში სარგებლობს.

**ხელოვნური
ჩიტებიც
დაფრინავენ**

ამერიკელი მხატვარი კენ ჯონსონი უჩვეულო ჰობითაა გატაცებული. 20 წელია, რაც ის ბამბუქის თუ ლითონის მსუბუქი და წვრილი წნელებისაგან აკეთებს ჩიტებისა და მწერების მოდელებს, რომელთაც ნამდვილისაგან ვერ გამოარჩევ. ისინი მინი-ძრავებით არიან აღჭურვილნი და მოძრაობა შეუძლიან. ყველაზე ცი-



ცქნა — ნახევარგრაშიანი პეპელა — 20 საუკუნე დაფრინავს, როგორც მხატვარი გვხიბვს, მომდევნო მოდელები უფრო დიდხანს იტრენენ.

საკითხავი

ჩხეტიანი მ. — წელი მოვიდა ახალი (ლექსი) გარეკ. 2
 ანტონოვი ს. — მოუხდელი ვალი (მოთხრობა) 1
 შანიძე ნ. — გზა მეტალურგიული ქარხნისაკენ (ნარკვევი) 3
 იცოდე, სამშობლოვ, ბევრნი ვართ თემურელები (წერილი) 6 33
 გაიდარი ა. — სამხედრო საიდუმლოების ზღაპარი (მოთხრობა) 8
 აფხაზავა ნ. — იუნგა, ცეცხლი! (მოთხრობა, გაგრძელება) 11
 აი ს ი 18
 ივარდავა დ. — სამი შტრიხი სამი პორტრეტისათვის (ბალადა) 20
 ჩალაური თ. — მძიმე ნანადირევი (მოთხრობა) 22
 კოცონი 26
 სვანიძე ბ. — მეშინია იმ ხელების; უსათაურო (ლექსები) 27
 ჩხარაძე ვილი ა. — პეტრიწონის მონასტერი (წერილი) 28
 ბუნებისკარი 29
 მხედრიონი 30
 გამირი ბათირი და ეშმაკი (ოსური ზღაპარი) 31
 ჯადოსნური სარკე 32
 ცხრაკლიტული გარეკ. 3

გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა იოსებ სამსონაძის

მთავარი რედაქტორი ბაბუღია შელია
 სარედაქციო კოლეგია: ნუზუარ ახსნაძე, ჯურაბ გოცვაძე, ავთანდილ გურგენიძე, დოდო ვადაჭკორია, ბიოზო ფოცხი-შვილი (მხატვარი-რედაქტორი), ვიორგი ქლიბაძე, როგერ ლარიბაშვილი, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრინი (პ/მგ. მდივანი), ლიანა შაფირული, ჯურაბ წვარიკაშაშვილი, ჯურაბ ჭუმუ-რძი.

საქართველოს კვ-ის გამომცემლობის სტამბა. 880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

რედაქციის მისამართი: 880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14; ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 98-97-05, 98-81-81, პ. მგ. მდივნის — 98-97-08, 98-58-05, განყოფილებების — 98-97-02, 98-97-01 გადაეცა ასაწყობად 21.11.88 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.1.84 წ., ქალაქის ფორმატი 60×90¹/₃, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,85, შეკვ. 2668 ტირაჟი 156800 ეგზ., უე 10017

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

«Пионери», журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации имени В. И. Ленина для школьников. Выходит один раз в месяц на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Адрес редакции: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Печатано в типографии издательства ЦК КП Грузии, 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Формат 60×90¹/₃, учетно-изд. л. 4, усл. печ. л. 5,35. Тираж 156800 экз. Цена 20 коп.

შეადგინეთ პროექტი

ტბის გარშემო ოთხი სახლია განლაგებული. ტბასა და სახლებს შორის კი ამდენივე სახ-ბორცა (იხილეთ ნახაზი). ეს დამსვენებლებს ტბაში ბანაობაში ხელს უშლის. ამიტომ გადაწყვიტეს ისეთი ღობის გაკეთება, რომელიც ტბას გამოჰყოფდა საქონლისაგან.



მოიფიქრეთ ყველაზე ნაკლები სიგრძის (და, მაშასადამე, იაფი) ღობის პროექტი.

შეადგინა
თეგარ ბაჩყალიძემ

გამოცანები

მინდვრის ბოლოში კარია, ერთი გუშაგი დარაჯობს. იმ კარს არასდროს აღებენ, არც იკეტება არასდროს.

მწყურვალი არვის უნახავს, არც, მით უმეტეს, მთვრალი. არადა, ყელში რაკრაკით ჩასდის ღვინო თუ წყალი. ერთ საიდუმლოს გაგანდობთ, ძნელი სარწმუნო კია: ჭურჭელი არ კი გეგონოთ — სულ სხვა სახელი ჰქვია.

მე გამიჭირდა მიხედვრა, თქვენ გამოიცნოთ, ვიცი მე: მძიმეა, მაგრამ არავის აწუხებს მისი სიმძიმე.

განა კბილით დაკბინა, განა ტორით დატორა... რკინა ისე დატკვირა, მარტო მტვერი დატოვა.

მე ორი ბროლის კენჭი მაქვს, მსგავს ვერ იპოვი ჭალაში. არც შურდულისთვის მარგია, არც კენჭობანას თამაშში. ხე, კაცი, მთა თუ ვარსკვლავი, შიგ ჩახატულა ყოველი. ხან მწუხარების ტბა არი, ხანაც ხალისის მთოველი.

6. მარინიძე

დაბადებულია მზესთან და დედამიწასთან ერთად, მაგრამ ჭერ თვისაც არ არის. რა უნდა იყოს ნეტავ?

ხან გამოჩნდება, ხან ქრება უჩინმარინის ქუდით. ხან პატარაა, ხან — დიდი, ყველგან თან გახლავს, მუდმივ, ხან წინ მიგიძღვის, ხან უკან მოგყვება, როგორც ქურდი.

თუმცაღა უსინათლოა, მშრომელი გახლავთ საქები. მაღარო ვაჭყავს, თუმც არ აქვს არც ბურღი, არც წერაქვები. არასდროს აინტერესებს მზიური ქვეყნის ამბები. მიწისქვეშეთი ირჩია და დაღის სულ გვირაბებით.

ჯიბო ჯიშარი

შარალავი

ცისარტყელას ფერთა რიცხვი კიდურ ხმოვანს იკლებს. მერე ერთი „ფეიქარიც“ გაიხსენო იქნებ: არც დაზგა აქვს, არც ხელები. ქსოვს კობტად და სწრაფად, მსხვერპლს დაუგებს ხოლმე მახეს.

შენც გინახავს ალბათ, — შეკრებამდე მოაკლდება წინა ორი ბეგრა, მაგრამ მაინც ეს შოალა ვერ დასრულდა ჭერაც. თუ ანბანის მეთორმეტე ასოს დასვამ თავში, უაღრესად სანუკვარი სახელია მასინ.

ის რიცხვი ორზე მეტია, მაგრამ ოთხზე კი ნაკლები. სიტყვიდან უკანასკნელი ასოა გამოსაკლები. გარჯის მეორე სახელის თქმაც როდი გაგიჭირდება, იგი კიდური მარცვლით და შუა თანხმოვნით მცირდება. თან დასასრულის სინონიმს დაურთავ დასკვნით ნაწილად, და რიგით პირველ ხმოვანსაც ჩამოაცილებ ადვილად. პასუხს — მაღვე მაუწყებს, დაკვირვებული ვინც არი, ის ჩვენი წმინდა ხატია, მარადუამს დასაფიცარი.

შოთა ამირანაშვილი



პასუხი 1983 წ. № 12-ში
მოთაქსეპულ
„სხრაქიშულზე“
კროსვორდი

თარაზულად:

1. იგი; 2. ალო; 3. მოცვი; 5. იანვარი; 6. ლატარია; 7. გარდაბანი; 11. პაიკი; 12. ტემ-პი; 14. ორკნი; 15. აორტა; 17. კოორდინაცია; 22. არე; 24. ტეო; 25. ასლი; 26. რაგუ; 27. აბედა; 29. ჯანაშია; 30. ანძა; 31. ხმალი.

შვეულად:

3. მჭადა; 4. იარდი; 7. გლი-ნკა; 8. რესის; 9. ასტრა; 10. იუმორი; 11. პროვოკაცია; 13. იტალია; 16. კომპოზიცია; 18. რელიზაცია; 19. ინსტრუქცია; 20. ცირკულაცია; 21. არშია; 23. რეზიდენცია; 28. ხმა.

ამოცანები

სამი ძმა და სამი და. სულ შვიდნი არიან: 4 ძმა და 3 და.

ჯამი მეტია, ნამრავლი ნულს უდრის.

გამოცანები

ბაყაყი, ლიფტი, მზის დაბნელება, ქოლგა, პარაშუტი ფოტოაპარატი.

— როგორ მოგწონს ბალეტი?
— ძალიან კარგია! მაგრამ არ მესმის, ქალიშვილები ფეხის წვერებზე რატომ ცეკვავენ, არ აჯობებდა, თავიდანვე უფრო ტანმალალი გოგონები აეჩრჩიათ?

— წლეულს ჩვენთან ისეთი ცნე-ლი ზაფხული იყო, რომ პეპლებს ფრთები დაეწვათ.

— ეგ რა არის, ჩვენთან ისე ცხე-

ლოდა, რომ ქათმები მოხარულ კვერცხს დებდნენ.

— წიგნები — ჩემი საუკეთესო მეგობრებია!

— მაშ ყველა გაუჭრელი რად არის?


— მეგობრებზე დანა როგორ უნდა აღვმართო?!

ბერლინის თეატრში დაიღა მამს

შილინგის ახალი ოპერა. ერთ-ერთ-მა მსახიობმა, რომელსაც ეს კომ-პოზიტორი არ უყვარდა, კულისე-ბის მიღმა აფიშაზე წააწერა: „ბეთ-შოვენი, ვერდი და ბიზე უფრო მე-ტად მომწონს“.

სპექტაკლის შემდეგ მსახიობებმა იმავე აფიშაზე კიდევ ერთი წარწე-რა ნახეს:

„მეც. მაქს შილინგი“.



ეპსონნაბი
გავრვთა
უმომამაღების
გალეაჟი
მომყოილი
გამოჟანიდან
გავრვები და მთები

მოსწავლე



შემოქმედება



მარტოხა

თათია გელვაინივილი

მწვერვალისაკენ.
სულხან მარსუკაძე, 9 წლის.



სოფალი მთის ძირას. არსენ გორიკიძე, 12 წლის.



ჩემი სოფალი.
ალუდა
საღუმუკაძე,
9 წლის.



მთასვლელი.
კახა
დიმურიძე,
12 წლის.

მთხილამურეები.
ელმუნდ
რივინი,
8 წლის.

